# ფოტომატიანე



ფოტოზე გამოსახულნი არიან, მარცხნიდან:

სიონის საპატრიარქო ტაძრის პროტოპრესვიტერი მიხეილ მახათაძე, სრულიად საქართველოს, კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე) და დეკანოზი ალექსანდრე გაბუნია (კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი) სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოში.

თბილისი. 1950 წელი

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია:
98 95 41;
72 13 50; 60 61 50;
8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება
ლუარსაბ ტოგონიძე

## მკითხველთა საყურადღებოდ!

ქუთაისში „საპატრიარქოს უწყებანის“ ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რუსთაველის ქ. №95

## ეპარქიების საყურადღებოდ!

გთხოვთ დროულად დაფაროთ გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის“ დავალიანება.

გამოვიდა „საპატრიარქოს უწყებანის დამატება ბავშვებისათვის“ ახალი ნომერი




გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ნუგზარ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დანიელი (დათუაშვილი),
დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, თეიმურაზ ხაზანიძე,
ლუარსაბ ტოგონიძე, მარიამ ბაბუა, ნათია თარაშვილი, ხათუნა ჩაჩიაშვილი, ნანა ჯოჯუა,
დამკაბადონებელი: კახაბერ მაისურაძე, ოპერატორი: ნონა კოპაძე.

დასაწყისი მე-4 გვ.

დაკარგული ხალხი და ტერიტორია, რომელიც მტერმა მოგვტაცა.

წინასწარ გილოცავთ შობა-ახალ წელს. ამ ხუთშაბათს ახალი სტილით არის ახალი წელი. ძალიან ხშირად მეკითხებიან ხოლმე მორწმუნეები, რატომ გვილოცავთ ახალი სტილით? მინდა გითხრათ, რომ ახალი წელი არ არის საეკლესიო დღესასწაული, ეს საერო დღესასწაულია. ახალი წელი იცვლებოდა, სხვადასხვა საუკუნეში იგი სხვადასხვა დროს დგებოდა. ახლაც ჩინეთში, იაპონიაში, აღმოსავლურ ქვეყნებში, მუსლიმური კალენდრის მიხედვით, სულ სხვადასხვა დროს დგება ახალი წელი. ძველ დროში ახალი წელი, მაგალითად, მარტიდან იწყებოდა. ამას არ აქვს მნიშვნელობა. ინდიქტიონი – საეკლესიო ახალი წელი სექტემბრიდან იწყება. ჩვენ ახალ წელს ვდღესასწაულობთ ძველი სტილით, 14 იანვარს.

ღმერთმა ბედნიერი შობა-ახალი წელი გაგითენოთ თქვენ და საქართველოს!

მორწმუნეებმა მომმართეს კითხვით, შეიძლება თუ არა ახალ წელს თევზი ვჭამოთო? გეძლევათ ახეთი ლოცვა-კურთხევა, რადგან ბევრი მაინც თავს ვერ იკავებს.

მშვიდობა, სიყვარული და სიხარული სუფევდეს თქვენთან, მთელს საქართველოში და მთელს მსოფლიოში. რწმენა, სიყვარული და სასოება გადაგვარჩენს ჩვენ. არ უნდა დაკარგოს ადამიანმა იმედი ღვთისა და იმედი მომავლისა. აუცილებლად უნდა გქონდეთ იმედი.

**ჩვენთან არს ღმერთი!**

## ქრონიკა, ინფორმაცია

### მილოცვა

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, ვანისა და ბაღდათის ეპარქიის სამღვდელო და სამონაზვნო დასი



გილოცავთ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელობის 26 წლისთავსა და დაბადების 71 წელს.

### ბერად აღკვეცა

17 დეკემბერს საფარის მონასტერში ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოსმა თეოდორემ (ჭუაძე) ბერად აღკვეცა მორჩილი ალექსანდრე კვინიკაძე და უწოდა სახელი გერასიმე.

### ხელდასხმა სიონში

21 დეკემბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II მღვდლად დაასხა ხელი დიდუბის ტაძრის დიაკონს თომა ყალაბეგაშვილს.

* * *

28 დეკემბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II მღვდლად ხელი დაასხა სიონის საპატრიარქო ტაძრის დიაკონს ტიმოთე წიკლაურს.

* * *

28 დეკემბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II დიაკვნად დაასხა ხელი სიონის მგალობელ ვაჟთა გუნდის წევრს ბესარიონ მეფარიშვილს.

### გაზეთის ერთი წელი

გამოვიდა ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიის გაზეთ „აღმსარებლის" საშობაო ნომერი. გაზეთს გამოსვლიდან ერთი წელი შეუსრულდა.

### ჟურნალის ახალი ნომერი

გამოვიდა ჟურნალ „ხვამლის" №3-4 ნომერი.




გაზეთ „აღმსარებლისა" და ჟურნალ „ხვამლის" ძველი ნომრები შეგიძლიათ შეიძინოთ შემდეგ მისამართებზე:

ქ. თბილისი, მაღაზია „ჯვარი", ლესელიძის ქ. №28.

ქ. ახალციხე, ნათენაძის ქ. №15, საეკლესიო მაღაზია „ლომსია".

ქ. ცაგერის საკათედრო ტაძარი.

ლენტეხის საკათედრო ტაძარი.

### საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის განცხადება

ა.წ. 29 დეკემბერს, გამთენიისას მოხდა შეიარაღებული თავდასხმა ტელეკომპანია „რუსთავი-2"-ის ოფისზე. ამ ფაქტს წინ უძღოდა სხვა ტელეკომპანიებისა და გაზეთების ჟურნალისტებზე თავდასხმისა და ზეწოლის ფაქტები. მათ შორის ტელეკომპანია „იბერიის" ჟურნალისტის, ქალბატონ ლუბა ელიაშვილის სახლის დაცხრილვა.

საქართველოს საპატრიარქო აღშფოთებას გამოთქვამს მომხდარი ფაქტების გამო და მიმართავს საქართველოს მთავრობას ყველა ზომა მიიღოს აღნიშნული შემთხვევების სასწრაფოდ გამოსაძიებლად, რათა მომავალში მსგავსი ფაქტები აღარ განმეორდეს.

დასაწყისი მე-6 გვ.

მა ანდრიამ (გვაზავა) ბერად აღკვეცა მორჩილები – გიორგი გუჯაბიძე და მამუკა ხუჟენია და მათ კოზმა და დამიანე უწოდა.

### შეცდომის გასწორება

„საპატრიარქოს უწყებანის“ №1(260) გამოქვეყნდა სტატია „შობა და ახალი წელი“, რომლის ავტორად მითითებული იყო მღვდელი ბიძინა გუნია. როგორც მამა ბიძინამ განგვიმარტა, აღნიშნული სტატია კომპილაციური ხასიათისაა და თუმცა მასში გამოყენებულია აღნიშნული სასულიერო პირის პუბლიკაციები, იგი მას არ ეკუთვნის. მამა ბიძინამ ასევე აღნიშნა, რომ ამ სტატიაში დაშვებულია გარკვეული უზუსტობები. გაზეთის რედაქცია ბოდიშს უხდის მამა ბიძინა გუნიას და მკითხველს დაშვებული შეცდომისათვის, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოხდა.

* * *

„საპატრიარქოს უწყებანის“ წინა ნომერში (№1(260)), სტატიაში „საქართველო მართლმადიდებლობის ხატია“ გაიპარა სამწუხარო შეცდომა: მღვდელმონაზონ ბონიფაცის მაგივრად ყველგან - უნდა ეწეროს მღვდელი ბონიფაცი. „საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქცია შენდობას ითხოვს ამ უზუსტობის გამო.

### ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის — „შენ ხარ ვენახის“ დღესასწაული

14 იანვარს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის - „შენ ხარ ვენახის“ დღესასწაულს. ეს ხატი 1998 წელს დაიწერა წმიდა მოციქულთა თავთა, პეტრესა და პავლეს ტაძრისათვის და მისი ხატმწერია ირაკლი ცინცაძე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლისათვის ცნობილია ამ ხატიდან აღსრულებული სასწაულები.

14 იანვარს წმიდა მოციქულთა თავთა, პეტრესა და პავლეს ტაძარში აღესრულა საზეიმო წირვა, რასაც მოჰყვა „შენ ხარ ვენახის“ ხატის პარაკლისი.

### მედიცინის ისტორიკოსთა მოსახსენებელი პანაშვიდი

26 დეკემბერს თსსუ-ს მედიცინის ისტორიის კათედრის დაარსების 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან არსებულ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესიაში ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა ქართველ მედიცინის ისტორიკოსთა მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა. პანაშვიდს ესწრებოდნენ თსსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი რამაზ ხეცურიანი, მედიცინის ისტორიის კათედრის თანამშრომლები, სამედიცინო საზოგადოება.

დასაწყისი მე-5 გვ.

სადაც ანგელოზთა და წმიდათა დასია, რადგან გამოსყიდული ხარ მაცხოვრის სისხლით და არა გაქვს უფლება, არად ჩააგდო უფლის თავგანწირვა შენთვის.

მიქა წინასწარმეტყველის წიგნში ვკითხულობთ: „ხომ გეუწყა შენ, ადამიანო, რა არის სიკეთე და რას ითხოვს შენგან უფალი? მხოლოდ სიმართლის ქმნას და წყალობის სიყვარულს; და რომ სიბრძნითა და მორჩილებით იარებოდე შენი უფლის წინაშე“ (მიქ. 6, 8).

ნუთუ შეუძლებელია ამის აღსრულება?!

ახლაც, ამ წუთებში, ამ ქვეყნად იბადება მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე, დასტური კაცთა მოდგმისადმი ღვთის უსაზღვრო სიყვარულისა და ღმერთსა და ადამიანს შორის ათასწლეულობით დარღვეული კავშირის აღდგენისა. მივეგებოთ მას სიხარულით და მივართვათ ძღვნად ჩვენი გული, რათა დაივანოს იქ და ეყოს ჩვენთან განუშორებლად.

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა! ჩვენთან არს ღმერთი - ემანუელ! ამინ!

*ილია II*

*სრულიად საქართველოს*

*კათოლიკოს-პატრიარქი*

*ქრისტეს შობა*

*თბილისი*

*2003-2004 წელი*

## ქრონიკა, ინფორმაცია

### მილოცვა

4 იანვარს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II დაბადებიდან 71 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქოში მიღება გაიმართა. უწმიდესსა და უნეტარესს დაბადების დღე მიულოცეს საქართველოს ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა, ბ-ნმა მიხეილ სააკაშვილმა, პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა, ქ-ნმა ნინო ბურჯანაძემ, სახელმწიფო მინისტრმა, ბ-ნმა ზურაბ ჟვანიამ და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

### საშობაო წირვა

7 იანვარს სიონის საპატრიარქო ტაძარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II ღამისთევის სადღესასწაულო წირვა-ლოცვა აღასრულა. საშობაო წირვას ესწრებოდნენ საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური პირები: ახლადარჩეული პრეზიდენტი, ბ-ნი მიხეილ სააკაშვილი, პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი, ქ-ნი ნინო ბურჯანაძე, სახელმწიფო მინისტრი, ბ-ნი ზურაბ ჟვანია, პარლამენტის თავმჯდომარე, ბ-ნი გოგი წერეთელი. წირვას ასევე ესწრებოდა ექს-პრეზიდენტი, ბ-ნი ედუარდ შევარდნაძე.

### „ძლევაის“ ინიციატივა

საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრი „ძლევაი“ თბილისის მხედველობადაქვეითებული სკოლა-ინტერნატების მოსწავლეებისთვის ას-ასი ლოცვანისა და სახარების დაბეჭდვას აპირებს სპეციალური, ე.წ ბრაილის შრიფტით. წიგნები სავარაუდოდ იანვრის ბოლოს დაიბეჭდება. როგორც „ძლევაის“ ხელმძღვანელმა, კოტე სვანაძემ განაცხადა, წიგნების დაბეჭდვას უსინათლოთა კავშირი უზრუნველყოფს, ხოლო ამ საქმიანობისთვის საჭირო თანხები შემოწირულობებითა და მეცენატთა დახმარებით შეგროვდა.

### ჩვენი მილოცვა

4 იანვარს სიონის საპატრიარქო ტაძარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II მთავარეპისკოპოსის ხარისხში აიყვანა ვანისა და ბაღდათის ეპისკოპოსი ანტონი (ბულუხია).

### ხელდასხმა

30 დეკემბერს, წმიდა დანიელ წინასწარმეტყველის ხსენების დღეს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი) ბერ-დიაკვნად ხელი დაასხა ფოკის წმიდა ნინოს სახელობის მამათა მონასტრის წევრს, მამა ილიას (ხურცილავა).

* * *

11 იანვარს სიონის საპატრიარქო ტაძარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II მღვდლად ხელი დაასხა ქაშუეთის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის დიაკონს მიქაელ აბულაძეს.

* * *

11 იანვარს სიონის საპატრიარაქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II დიაკვნად დაასხა ხელი სასულიერო აკადემიის მეოთხე კურსის სტუდენტს თემურ თათარაშვილს.

* * *

4 იანვარს ყოვლადუსამღვდელოესმა, სტეფანწმინდისა და ხევის ეპისკოპოსმა პეტრემ (ცაავა) ყაზბეგის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძარში მღვდელმონაზვნად დაასხა ხელი ბერდიაკონ ნიკოლოზ ღლონტს.

* * *

8 დეკემბერს ყოვლადუსამღვდელოესმა, საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) პატარძეულის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში დიაკვნად დაასხა ხელი დავით ბურდულს.

### ბერად აღკვეცა

4 იანვარს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა კურთხევით ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსმა გერასიმემ (შარაშენიძე) ბერად აღკვეცა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ილია ნასიძე.

* * *

2 იანვარს ყოვლადუსამღვდელოესმა, სამთავისისა და გორის ეპისკოპოს-

დასასრული მე-7 გვ.

# ფოტომატიანე

## ილუმენია თამარი (მარჯანიშვილი) (1869–1936)

ილუმენია თამარი დაიბადა 1869 წელს კახეთში, ალექსანდრე მარჯანიშვილის ოჯახში. 1890-იანი წლებიდან დაიწყო მოღვაწეობა ბოდბის დედათა მონასტერში. 1902 წელს აღყვანილი იქნა ილუმენის ხარისხში და ეწოდა იუვენალია. 1905 წელს გადაიყვანეს რუსეთში. 1912 წელს მისი ღვაწლით დაარსდა „სერაფიმო-ზნამენსკოეს" მონასტერი, სადაც 1924 წლამდე, კომუნისტების მიერ სავანის დახურვამდე მოღვაწეობდა. დევნილი ილუმენია რამდენიმე დასთან ერთად ცხოვრობდა „პერხუშკოვოს" დასახლებაში. 1931 წელს იგი დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. მისი ძმის, რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის შუამდგომლობით იგი 1934 წელს გაათავისუფლეს. სიცოცხლის უკანასკნელი წლები ილუმენია თამარმა ბელორუსიაში, რკინიგზის სადგურ „პიონერსკაიასთან" გაატარა. გარდაიცვალა დიდსქემოსანი 1936 წლის ივნისში. დაკრძალულია მოსკოვში, ვებენის მთაზე.

*ფოტო გადაღებულია 1890-იანი წლების მიწურულს ა. როინიშვილის მიერ.*



თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*

გამოვიდა „საპატრიარქოს უწყებანის დამატება ბავშვებისათვის" ახალი ნომერი




„საპატრიარქოს უწყებანის" რედაქციას განზრახული აქვს XX საუკუნეში ულმერთო ხელისუფლების მიერ რეპრესირებული სასულიერო პირებისა და მრევლის ცხოვრებისა და მოწამეობის ამსახველი კრებულის გამოცემა. ყველას გთხოვთ, დაგვეხმაროთ მასალების მოძიებაში.

*პირველ გვერდზე:* ელენე ახვლედიანის მიერ შესრულებული ბოდბის მონასტრის ფერწერული ტილო. 1920 წელი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

**რედაქტორი:** ზურაბ ცხოვრებაძე,
**სარედაქციო კოლეგია:** მთავარეპისკოპოსი დანიელი (დათუაშვილი), დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, თეიმურაზ საგანელიძე, ლუარსაბ ტოგონიძე, მარიამ ბაგუა, ნათია თარაშვილი, ხათუნა რამიაშვილი, ნანა მოქიასა,
**დამკაბადონებელი:** კახაბერ მაისურაძე, **კორექტორი:** ნონა ჭოჩახიძე.

დასაწყისი მე-7 გვ.

ლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით წმიდა სტეფანე ხირსელის (ერთ-ერთი ასურელი მამათაგანი) ხსენების დღედ დადგინდა 9 იანვარი (ახალი სტილით). შეგახსენებთ, რომ წმიდანის წმიდა ნაწილები მისივე სახელობის სტავროპიგიალურ მონასტერში განისვენებს, რომელიც ბოდბის ეპარქიაში, სოფელ ტიბაანში მდებარეობს.

## ხელდასხმა

18 იანვარს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სიონის საკათედრო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი დიაკვან დავით ლომჯარიძეს. 7 თებერვალს მღვდელი დავითი ერაყში არსებულ ქართულ სამხედრო ნაწილში გაემგზავრება, სადაც იგი კაპელანად (სამხედრო ნაწილის მღვდლად) იმსახურებს.

* * *

„ჯვარის მამასთან" არსებულ სამედიცინო სამსახურში ოფთალმოლოგი (თვალის სნეულებათა ექიმი) ჩაატარებს უფასო კონსულტაციას 30 იანვარს 12.00-15.00 სთ-ზე.

ცნობებისათვის დარეკეთ:
98 90 12

## სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 14 იანვარს გურჯაანის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერში ტრაგიკულად გარდაიცვალა მღვდელმონაზონი ანგია (ჩოხელი). უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II კურთხევით იგი დაკრძალულია ბეთანიის მონასტრის ეზოში.



მკითხველს ვთხოვთ, ილოცონ მღვდელმონაზონ ანგიას სულისათვის.

* * *

საქართველოს საპატრიარქო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ბატონი ბადრი ჩლაიძე.

მკითხველს ვთხოვთ, ილოცონ ბატონ ბადრი ჩლაიძის სულისათვის.

***ბატონი ბადრი ჩლაიძის გამოსვენება: 24 იანვარს 14.00 სთ. სიონის საპატრიარქო ტაძრიდან.***

# ფოტომატიანე



## ღირსი მამა ალექსი (შუშანია) და მისი ძმა ბერი ბესარიონი (მაცხნივ).

ღირსი მამა ალექსი (შუშანია) XIX-XX სს. საქართველოს ეკლესიის ღირშესანიშნავი მოღვაწეა; ქართული ბერმონაზვნური ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი. იგი სხვადასხვა წლებში მოღვაწეობდა ათონის ქართველთა სავანეში, გელათის მონასტერში. 1890-იანი წლებიდან გარდაცვალებამდე ცხოვრობდა მის მიერვე დაარსებულ მენჯის მთვარანგელოზთა სახელობის სავანეში, სადაც გარდაიცვალა და დაიკრძალა 1923 წელს. 1995 წელს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის მიერ იგი წმიდანად შერაცხა.

ბერი ბესარიონ შუშანია წლების მანძილზე მოღვაწეობდა ათონის წმიდა მთაზე, წმიდა იოანე ღვთისმეტყველის ქართველთა სავანეში. ჯანმრთელობის გაუარესების გამო მამა ბესარიონი იძულებული გახდა, სამშობლოში დაბრუნებულიყო. იგი მარტვილის მონასტერში დაემკვიდრა, სადაც მღვდელმონაზვნად აკურთხეს. სამწუხაროდ, მღვდელმონაზონი ბესარიონი XIX საუკუნის 90-იან წლებში შედარებით ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალა.

ფოტო გადაღებულია ქუთაისში XIX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს.

ფოტო მოგვაწოდა მენჯის მთავარანგლოზთა სახელობის შუშანიების სავანის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა მელქისედეკმა (მიქავა).

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*

---

* რათა მოანიჭოს ძალი და ძლიერება ქრისტეს მოყვარეთა მხედრობასა მხნედ და ახოვნად წინა-აღმდგომთა ყოველთა მტერთა და მბრძოლთა მარადის გამოაჩინოს, და მონათა თვისთა მშვიდობა და სიმტკიცე, და ყოველთა ჭირთა და განსაცდელთა, და მტერთა მზაკვრებისაგან მსწრაფლი თავის უფლება მოანიჭოს, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

* რათა სარწმუნოსა მხედრობასა თვისსა, დროშისა ამის მტვირთველსა, და მას ზედა მზირალთა, კადნიერება, ძალი და სიმტკიცე, შემუსუვრა და დათრგუნავა, ძალისა წინააღდგომთა ჩუენთასა მოწყალებით მოანიჭოს, უფლისა მიმართ ვილოცოთ. *ლოცვა დროშის კურთხევისას*

გარეკანის ფოტო მაია დარსაველიძისა

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი),
დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, თეიმურაზ სახანელიძე,
ლუარსაბ ტოგონიძე, მარიამ ბაბუა, ნათია თაბაშიძე, ხათუნა რამიაშვილი, ნანა კოპაძე,
დამკაბადონებელი: კახაბერ მაისურაძე, ოპერატორი: ზოია ქოჩახიძე.

**დასაწყისი მე-8 გვ.**

სახელობის ტაძარი დედაქალაქში აშენებულიყო, რაც მისი ლოცვითა და მღვდელ ანტონის მონდომებით უმოკლეს დროში აღსრულდა.

მუცუქ დალოცა ახლადნაკურთხი ტაძრის მრევლი და იმედი გამოთქვა, რომ ამ ტაძარს არასოდეს მოაკლდება მლოცველი და აქ აღვლენილი ლოცვითა და ღირსი მამა ანტონ მარტყოფელის მეოხებით უფალი დაიფარავს ჩვენს დედაქალაქსა და სრულიად საქართველოს.

1 თებერვალს წმიდა ანტონ მარტყოფელის ხსენების დღეა. ეს დღე ყოველთვის დიდი ზეიმით აღინიშნება წმიდა ანტონ მარტყოფელის მონასტერსა და მის გარშემო სოფლებში. უამრავი მლოცველი ჩადის იქ დედაქალაქიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ამიერიდან ეს დღესასწაული თბილისში, საბურთალოს ქუჩაზე მდებარე წმიდა ანტონ მარტყოფელის სახელობის ტაძარშიც აღინიშნება.

### ხელდასხმა

25 იანვარს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში მღვდელმონაზვნად დაასხა ხელი თელეთის წმიდა გიორგის სახელობის მონასტრის ბერდიაკონს დავით კირკიტაძეს.

### ახლადშერაცხილი წმიდანის ხსენება 2 თებერვალს პირველად აღინიშნება

ა.წ. 2 თებერვალს (20 იანვარი) საქართველოს ეკლესია პირველად აღნიშნავს წმიდა ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძე) ხსენებას. როგორც თქვენთვის ცნობილია, წმიდა ექვთიმეს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ძველი ქართული კანონიკური საეკლესიო გალობის გადარჩენის საქმეში. ვიმედოვნებთ, ეს დღე ყველა ქართველისთვის ღირშესანიშნავი დღე გახდება. ამ დღესთან დაკავშირებით ვაკის წმიდა სამების სახელობის ტაძარში აღესრულება წირვა, რომელზეც საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრის მიერ მოწვეულნი არიან სხვადასხვა ტაძრების მგალობლები. წირვის შემდგომ შესრულდება წმიდა ექვთიმე აღმსარებლის პარაკლისი.

### შეცდომის გასწორება

გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის“ №3-ში გაიპარა სამწუხარო შეცდომა, რისთვისაც მკითხველისაგან შენდობას ვითხოვთ: მღვდელმონაზონი ანგია დაკრძალულია გურჯაანის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტრის ეზოში და არა ბეთანიის მონასტერში, როგორც ეს ჩვენს გაზეთში იყო მითითებული.

### ეკლესიის დელეგაცია ინაუგურაციაზე

25 იანვარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,



უწმიდესი და უნეტარესი ილია II წმიდა სინოდის წევრებთან ერთად დაესწრო საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციის ცერემონიალს.

**საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული მომლოცველთა სამსახური გიწვევთ, მოილოცოთ წმიდა ადგილები:**

**ღვთაების მონასტერი (ღირსი მამის, ანტონ მარტოდმყოფელის ხსენების დღე; წმიდა ანტონის საფლავი; სვეტი)** 1 თებერვალი; კვირა; გასვლა 8:30 სთ; ფასი 5 ლ.

**გელათი-მოწამეთა-ბაგრატი (წმიდა მეფის, დავით აღმაშენებლის ხსენების დღე)** 8 თებერვალი; კვირა; გასვლა 8:00 სთ; ფასი 12 ლ.

მომლოცველებს მოემსახურება გიდი.

ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართზე: "ოქროს საწმისი", სიონის ქ. 13. ქაშვეთის წმიდა გიორგის სახელობის ტაძართან არსებული მაღაზია, რუსთაველის 9.

ძილების ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მაღაზია, წერეთლის 44.

ვაკის სამების ტაძართან არსებული მაღაზია, ჭავჭავაძის 37.

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ. 92 39 78; 30 88 76 (11-დან 17 სთ-მდე); (899) 26 68 27

ავტობუსები გადის რესპუბლიკის მოედნიდან, სასტუმრო ივერიის წინ

დასაწყისი მე-5 გვ.

ნის მონასტერში, სადაც წმიდა ექვთიმე აღმსარებელია დაკრძალული. წირვა აღავლინა ზედაზნის მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა საბამ (გეგავა) მღვდელმონაზონ იოანესა და მღვდელმონაზონ გაბრიელთან ერთად. ღვთისმსახურების დროს გალობდა სამი ქალთა და ერთი ვაჟთა გუნდი.

წირვის დასასრულს გადაიხადეს პანაშვიდი წმიდა ექვთიმე აღმსარებლის საფლავთან.

## შეხვედრა საპატრიარქოში

30 იანვარს საპატრიარქოს რეზიდენციაში უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ეკონომისტებს შეხვდა. შეხვედრის მიზანი იყო საუბარი და აზრების გაზიარება რწმენის, ზნეობისა და სამეურნეო საქმიანობის ოპტიმალური ურთიერთშეთანხმებისა და საქართველოს ჰარმონიული, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების შესახებ.

## დაიწერა ახლადშერაცხილი წმიდანის ხატი

რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ (2003 წ.) აგვისტოს თვეში წმიდანებად შერაცხა ბეთანიელი ბერები იოანე მაისურაძე, არქიმანდრი-



ტი გიორგი მხეიძე. მათი ხსენების დღედ დადგინდა 21 ნოემბერი. მაისურაძეთა საგვარეულო [illegible] დააწერინა წმიდა იოანე აღმსარებლის (იოანე მაისურაძის) ორი ხატი (ხატმწერი მერაბ დევაძე). აღნიშნული ხატები ა.წ. 18 იანვარს აკურთხა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II. ერთი ხატი გადაბრძანდება ბეთანიის მონასტერში, მეორე კი - პატრიარქის რჩევით, ოჯახებში გადასვენდება. იმედია, მალე წმიდა გიორგის (მხეიძე) ხატიც შეიქმნება და ორივე ხატი ერთად დაივანებს ბეთანიის სავანეში.

## ახალი ჟურნალი

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრმა, რომლის დამაარსებლები არიან საქართველოს საპატრიარქო, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, მეცნიერების ფონდი „უდაბნო", გამოსცა სამეცნიერო ჟურნალ „ლოგოსის" პირველი ნომერი. ჟურნალში გამოქვეყნდება სამეცნიერო დაწესებულებებში და უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწე ცნობილ მეცნიერთა, აგრეთვე სასულიერო პირთა სტატიები.




ჟურნალ „ლოგოსის" მიზანია საერო და სასულიერო მეცნიერების დაახლოების გზით ხელი შეუწყოს სასულიერო საკითხთა მეცნიერულ შესწავლას.

## ახალი გამოცემა

გამოიცა ახალი მართლმადიდებლური ჟურნალი, რომლის პირველი ნომერი უკვე მიიღო მკითხველმა. იგი გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატებაა და თვეში ერთხელ გამოდის. სასიხარულოა ყოველი ახალი წამოწყება, რომელიც ადამიანს ღვთისკენ მიმავალი გზის გაკვლევაში დაეხმარება, რის იმედსაც ამ ჟურნალის შინაარსი იძლევა (კონსულტანტი მღვდელი თეოდორე გიგნაძე).



ჟურნალი იბეჭდება უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით.

## ხელდასხმა

22 დეკემბერს ყოვლადუსამღვდელოესმა, საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) მღვდლად დაასხა ხელი დიაკვან დავით ქურდოვანიძეს.

* * *

24 იანვარს ყოვლადუსამღვდელოესმა, საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ დავით გარეჯის მამათა მონასტერში ბერდიაკვნად დაასხა ხელი ბერებს - მამა იოანესა (მსხილაძე) და მამა იაკობს (ავალიშვილი).

## ვალენტინობა არ არის ქრისტიანული დღესასწაული

ბოლო წლებში საზოგადოების ერთი ნაწილი 14 თებერვალს „ვალენტინობას" (სიყვარულის დღეს) დიდი ზეიმით აღნიშნავს. გაზეთი, რადიო, ტელევიზია თუ საკონცერტო აფიშები ამ დღის შესახებ გვაუწყებს. საგაზეთო სტატიებიდან და ტელე-გადაცემებიდან ვიგებთ, რომ 14 თებერვალი მღვდელი ვალენტინის ხსენების დღეა. სინამდვილეში ვინ იყო ვალენტინი? არის კი ქრისტიანული დღესასწაული ის, რასაც 14 თებერვალს აღნიშნავენ?

14 თებერვლის „სიყვარულის დღესასწაულს" შეცდომით უკავშირებენ კათოლიკური ეკლესიის წმიდა ვალენტინის სახელს: ეკლესიის ისტორია რამდენიმე ვალენტინს იცნობს, რომელთაგან არცერთის ცხოვრება არ უკავშირდება სასიყვარულო ურთიერთობებს. ფიქრობენ, რომ 14 თებერვლის ვალენტინის დღესასწაულს წარმართული ფესვები აქვს. ამ დღეს ძველ რომში ქალღმერთ იუნონას დღესასწაულს აღნიშნავდნენ, რომელსაც რომაელები ქალებისა და ოჯახის მფარველად მიიჩნევდნენ. 15 თებერვალს იმართებოდა ნაყოფიერების დღესასწაული - „ლუპერკალიები".

მართლმადიდებელი ეკლესიისთვის

დასასრული მე-7 გვ.

# ფოტომატიანე



## მიტროპოლიტი დიმიტრი (იაშვილი)
## 1872–1961

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება*
*ლუარსაბ ტოგონიძე*

მიტროპოლიტი დიმიტრი (დავით ილარიონის ძე იაშვილი) დაიბადა 1872 წლის 15 დეკემბერს სიღნაღის მაზრის სოფელ საქობოში; სწავლობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო შემდგომ თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1898 წელს ხელდასხმული იქნა მღვდლად. იყო სიღნაღის სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველი. 1912 წელს იგი წინამძღვრად გადმოიყვანეს თბილისის მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ტაძარში და აღყვანილი იქნა დეკანოზის ხარისხში. კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდგომ მამა დავითი სხვა სასულიერო პირთა მსგავსად დევნასა და რეპრესიებს განიცდიდა. 1920-30-იან წლებში მას ფარულად უწევდა ღვთისმსახურება. ხოლო მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ იგი მსახურობდა თბილისის სხვადასხვა ტაძრებში. 1952 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III ლოცვა-კურთხევით ბერად აღიკვეცა და ეწოდა დიმიტრი. იმავე წელს ხელდასხმული იქნა ნინოწმინდელ ეპისკოპოსად და დაინიშნა კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად. 1958 წელს მეუფე დიმიტრი აღყვანილი იქნა მიტროპოლიტის ხარისხში და დადგინდა ბოდბისა და ალავერდის ეპარქიების მმართველად.

მიტროპოლიტი დიმიტრი გარდაიცვალა 1961 წლის 22 ივლისს. მისი ანდერძის თანახმად, დაიკრძალა თბილისის პეტრე-პავლეს სახელობის ტაძარში.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი),
დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, თეიმურაზ საგანელიძე,
ლუარსაბ ტოგონიძე, მარიამ ბაბუა, ნათია თავართქილაძე, ხათუნა რამიშვილი, ნანა მოსიძე,
დამკაბადონებელი: კახაბერ მაისურაძე, კორექტორი: ნონა ქობაძე.

დასაწყისი მე-4 გვ.

### ხელდასხმები

1 თებერვალს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მღვდლად დაასხა ხელი თბილისის წმიდა დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრის დიაკვანს ბაქარ ხოსელიას.

* * *

1 თებერვალს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სიონის საკათედრო ტაძარში დიაკვნად დაასხა ხელი თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულს, დავით ქალებაშვილს.

### ქართული ასეულის დალოცვა

10 თებერვალს ერაყში სამშვიდობო მისიით გასაგზავნი ქართული ასეულის ჯარისკაცები – სანხერის სამთო ბატალიონის წევრები, სიონის საკათედრო ტაძარში საღვთო ლიტურგიას დაესწრნენ. წირვის შემდეგ დეკანოზმა ნიკოლოზ მინდიაშვილმა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის პარაკლისი გადაიხადა, დალოცა ქართველი მეომრები და მათი იარაღ-საჭურველი აკურთხა. ერაყში გამგზავრების წინ აკურთხეს ჯარისკაცების გულსაკიდი ჯვრები და ზეთი სცხეს მათ. რამდენიმე ქართველი მეომარი მოინათლა.

– ერაყში ქართულ ასეულს გაჰყვება ახლადნაკურთხი მღვდელი დავით ლოსაბერიძე, რომელიც კაპელანად (სამხედრო მოძღვრად) იმსახურებს.

### საერთაშორისო კონფერენცია - რელიგია და საზოგადოება

2004 წლის 4 თებერვალს საქართველოს საპატრიარქოში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია – „რელიგია და საზოგადოება – რწმენა ჩვენს ცხოვრებაში". კონფერენცია გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიმართა უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია II. კონფერენციის მონაწილეობის შესახებ ჟურნალისტებს ესაუბრა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი). მან ბრძანა:

*„კონფერენციის სახელწოდებაა „რელიგია და საზოგადოება – რწმენა ჩვენს ცხოვრებაში". მისი მთავარი მიზანია ის, რომ გამოასწოროს XX საუკუნეში საქართველოში შექმნილი ვითარება, როდესაც ხელოვნურად მოხდა რწმენისა და მეცნიერების დაცილება, საზოგადოებისა და ეკლესიის გახლეჩა, ეს კავშირი უნდა აღდგეს. ეს პროცესი უკვე ორ ათეულ წელზე მეტი ხანია დაწყებულია, მაგრამ ამ ბოლო წლებში განსაკუთრებული ხასიათი მიიღო, და იგი, ფაქტიურად, გადაიქცა მოძრაობად, შეიქმნა ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, სადაც სასულიერო, საერო და მეცნიერების მოღვაწეები მუშაობენ იმაზე, რომ რწმენამ თავისი ადგილი დაიკავოს ჩვენს ცხოვრებაში; ერთის მხრივ, იგი იყოს ერთგული თავისი ტრადიციებისა, მარადიული ღირებულებებისა, ჭეშმარიტების დამცველი და, ამავე დროს, გაითვალისწინოს საზოგადოების ის პირობები და ვითარება, რომელშიც თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს, ანუ მოხდეს კავშირის აღდგენა ერსა და ეკლესიას შორის, ეკლესიასა და საზოგადოებას შორის".*

იმავე დღეს კონფერენციამ მუშაობა გააგრძელა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში. კონფერენციაზე ათი სექცია მუშაობდა. ყოველი სექციიდან თითო მოხსენება წაკითხული იქნა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში პლენარულ სხდომაზე.

7 თებერვალს კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა.

### ლიტურგიკული ტექსტების ავტორებისადმი

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით შეიქმნა საღვთისმსახურო წიგნთა შესწორებისა და რედაქტირების კომისია, რომელსაც ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი) ხელმძღვანელობს.

კომისიის ნებართვის გარეშე დაუშვებელია ყოველგვარი ლიტურგიკული დანიშნულების ტექსტის გამოქვეყნება-გავრცელება.

ნაშრომი შეგიძლიათ, წარმოადგინოთ საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

ტელ. 98-95-42

### სამძიმარი



საქართველოს საპატრიარქო იუწყება, რომ გარდაიცვალა დეკანოზი ვაჟა ბეწუნაიძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვაში მოიხსენიონ გარდაცვლილის სული.

* * *

საქართველოს საპატრიარქო იუწყება, რომ გარდაიცვალა მღვდელ გრიგოლ გოცირიძის მეუღლე მარი-

გაგრძელება მე-6 გვ.

# ფოტომატიანე



## მღვდელმონაზონი პახუმი (ფაფერაშვილი)

### ტიმოთესუბნის მონასტრის წინამძღვარი (1837-1925)

მღვდელომონაზონი პახუმი (ერისკაცობაში პეტრე ფაფერაშვილი) წარმოშობით ახალციხიდან იყო. ნაადრევად დაქვრივებულმა მონაზვნობის გზა აირჩია; 1870-იანი წლებიდან იგი ტიმოთესუბნის მონასტერში დაემკვიდრა და იქ სიცოცხლის ბოლომდე, ხუთი ათეული წლის განმავლობაში მოღვაწეობდა. მამა პახუმის დაუღალავი შრომით არაერთი თაობა აღიზარდა – მან მონასტერთან დააარსა სკოლა, სადაც მახლობელი სოფლების ბავშვებს თავადვე ასწავლიდა საღმრთო სჯულსა და ქართულ წერა-კითხვა-გალობას. იგი თავისი უბრალოებითა და ჭეშმარიტი ბერული ღვაწლით საყოველთაო სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა. მღვდელმონაზონი პახუმი 1925 წელს ღრმად მოხუცებული აღესრულა. იგი დაკრძალულია ტიმოთესუბნის მონასტრის ეზოში.

ფოტო გადაღებულია 1880-იან წლებში. მისი მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით მამა პახუმის შთამომავლებს ნუნუ და ნატალია რუხაძეებს.



ტიმოთესუბნის მონასტერი XIX საუკუნის 80-იან წლებში

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

**რედაქტორი:** ზურაბ ცხოვრებაძე,
**სარედაქციო კოლეგია:** მთავარდიაკონი დიმიტრი (შიოლაშვილი),
დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, თეიმურაზ საბანიძე,
ლუარსაბ ტოგონიძე, ვარიამ ბაჩუა, ნათია თარაშვილი, ხათუნა რაჭიაშვილი, ნანა კოშკაძე,
**დამკაბადონებელი:** კახაბერ მამისურაძე, **კორექტორი:** ზოია ქოჩახიძე.

დასაწყისი მე-11 გვ.

აწილეობას ღებულობს 11 რელიგიათშორის სამშვიდობო ფორუმში. ფორუმში მონაწილეობას ღებულობენ დსთ-ს ქვეყნების სასულიერო, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები.

## სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვარის მამასთან" არსებულ სამედიცინო სამსახურში ჩატარდება უფასო კონსულტაციები:

დერმატოლოგი – 7 მარტი, 12-დან 15 საათამდე;

ტრავმატოლოგ-ორთოპედი – 13 მარტი, 13-დან 16 საათამდე;

ინფექციონისტ-სეფსისოლოგი – 20 მარტი – 13-დან 16 საათამდე;

ოფთალმოლოგი – 27 მარტი, 12-დან 15 საათამდე;

ნევროპათოლოგი, 28 მარტი, 12-დან 15 საათამდე;

ცნობებისათვის დარეკეთ ყოველდღე 12-დან 16 საათამდე; ტელ. 98 90 12.

## ხატების შეურაცხყოფა

არასამთავრობო ორგანიზაცია საუნჯეების მცველთა კავშირ „ნაზარასთან" არსებულმა საუნჯეთა დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საგარეჯოში ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში უცნობმა პირებმა ხატებს თვალები დათხარეს და შეურაცხყვეს. აღნიშნული ფაქტი 2003 წლის ოქტომბერში მოხდა. ორგანიზაციის წევრი საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლებს შეხვდა და ამ ფაქტის შესახებ ესაუბრა. „ნაზარა" მოითხოვს, ამ ფაქტზე შესაბამისმა უწყებებმა დაუყოვნებლივ მოახდინონ რეაგირება.

## „ზღაპარი საქართველოზე"

17 თებერვალს საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის „ძლევაის" (ხელმძღვანელი კოტე სვანაძე) ინიციატივით, რკინიგზელთა კულტურის სახლში გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი „ზღაპარი საქართველოზე". კონცერტში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქართული ქორეოგრაფიული და ფოლკლორულ-ინსტრუმენტული ანსამბლები.



კონცერტის მაყურებელთა უმრავლესობა ბავშვთა სახლ „ბელურების" აღსაზრდელები, დევნილი და ინვალიდი ბავშვები იყვნენ. კონცერტს დაესწრნენ სასულიერო პირებიც – მღვდელი გიორგი დორეული, მღვდელი კონსტანტინე კოლუაშვილი და მღვდელი ლაზარე ვარდოსანიძე. კონცერტის ბოლოს მამა კონსტანტინემ სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და ბავშვები დალოცა.

მაყურებლებს დაურიგდათ ხატები. კონცერტის ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს „ძლევაის" წევრებმა ნათია დადუნაშვილმა, დავით ხუბერაშვილმა, ინგა წიკლაურმა. საქველმოქმედო კონცერტიდან შემოსული თანხა მოხმარდება ყრუ-მუნჯ ბავშვთა სახლში ეკლესიისა და ხატწერის შემსწავლელი ცენტრის გახსნას. მათ, ვისაც სურს, მონაწილეობა მიიღონ და შეეწიონ ამ ღვთივსათნო საქმეს, ვთხოვთ, გამოგვეხმაურონ.

ტელ: 99 07 95; 899 74 35 47

*„ძლევაის" პრესცენტრი*

## ბერად აღკვეცა

27 თებერვალს ყოვლადუსამღვდელოესმა, საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) წმიდა დავით გარეჯელის ლავრაში ბერად აღკვეცა მორჩილი ზაზა ონიანი და მას კირიონი უწოდა.

# ქართული პრესის არქივიდან

ქართული საეკლესიო გალობის მოყვარულნი კვლავ უჩივიან ტფილისის სასულიერო სემინარიის მგალობელთა ლოტბარს, რომელიც კარბელაანთ გალობის კილოს არ სჯერდება და თავისებურად სცვლის ამ კილოს, ისე, რომ გალობა ხოროსი სრულიად სხვა თვისებისა და ხასიათისა გამოდის. ბატონს ლოტბარს შეუთხზავს ახალი „უფალო შეგვიწყალენი", რომელიც უფრო საერო სიმღერას ჰგავს, ვიდრე საეკლესიო გალობის ხმასა. საკვირველია, რა უნდა იყოს მიზეზი, რომ ბატონი ლოტბარი ასე უცვლის კილოსა და ხასიათს აღმოსავლეთ საქართველოში ისე გავრცელებულსა და უკვე დამკვიდრებულ გალობას.

*გაზეთი „ივერია" (1891წ.)*

# ფოტომატიანე



## მიტროპოლიტი სვიმეონი (ჭელიძე)

**1875–1935**

მიტროპოლიტი სვიმეონი (სიმონ სპირიდონის ძე ჭელიძე) დაიბადა 1875 წელს რაჭის მაზრის სოფელ ბუგეულში, მღვდლის ოჯახში.

პირველდაწყებითი განათლება სოფელ ბუგეულის სამრევლო-საეკლესიო სასწავლებელში მიიღო, ხოლო შემდეგ სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო. 1893 წელს იგი სასწავლებლად სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში გადავიდა. 1898 წელს აკურთხეს მღვდლად. 1900 წელს დაინიშნა რაჭის მაზრის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურედ და კეთილმოწესედ. 1923 წლის ნოემბერში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ლოცვა-კურთხევით ხელდასხმული იქნა ჭყონდიდის ეპისკოპოსად. 1927 წელს ინიშნება ურბნისის ეპისკოპოსად. 1930 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III ლოცვა-კურთხევით ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტად დაინიშნა.

მიტროპოლიტი სვიმეონი 1935 წლის 13 ნოემბერს თბილისში, ოპერაციის დროს გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოში. სამწუხაროდ, უღმერთო ხელისუფლებამ 1937 წლის რეპრესიების დროს მისი მრავალი ხელნაწერი და ნივთი გაანადგურა.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*

„საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქციას განზრახული აქვს XX საუკუნეში უღმერთო ხელისუფლების მიერ რეპრესირებული სასულიერო პირებისა და მრევლის ცხოვრებისა და მოწამეობის ამსახველი კრებულის გამოცემა. ყველას გთხოვთ, დაგვეხმაროთ მასალების მოძიებაში.

გარეკანზე: **გელათის მონასტერი**
მხატვარი: დავით კაკაბაძე

გამოვიდა „საპატრიარქოს უწყებანის დამატება ბავშვებისათვის“ ახალი ნომერი




გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი),
დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, თეიმურაზ საბანელიძე,
ლუარსაბ ტოგონიძე, მარიამ გაგუა, ნათია თარაშვილი, ხათუნა რამიაშვილი, ნანა გოგუაძე,
დამკაბადონებელი: ქახაბერ მაისურაძე, კორექტორი: ზოია კობახიძე.

## ქრონიკა, ინფორმაცია

### საქართველოში წმიდა ქეთევანის ხატი და წმიდა ნაწილი ჩამოაბრძანდა

როგორც ვაუწყებდით (იხ. „საპატრიარქოს უწყებანი“ №8), უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II წმიდა სინოდის მღვდელმთავრებთან – ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობთან (აქიაშვილი), ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელთან (დათუაშვილი), ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოს თეოდორესთან (ჭუაძე), კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსთან, ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოს გერასიმესთან (შარაშენიძე) და სახელმწიფოს წარმომადგენლებთან ერთად მოსკოვში გაემგზავრა. ვიზიტის მიზანი იყო რელიგიათშორის სამშვიდობო ფორუმში მონაწილეობის მიღება.



ცნობილია, ისიც, რომ წმიდა ქეთევანის წმიდა ნაწილი ჯერ კიდევ მეფე თეიმურაზის დროიდან რუსეთში წმიდა სერგის ლავრაში იმყოფებოდა. იგი ჩატანებული იყო ღვთისმშობლის პანაღიაში და ასეთი სახით იქნა გატანილი საქართველოდან რუსეთში. მოგვიანებით იგი ქართველმა თავადმა, ციციშვილმა ჩააბარა მუზეუმს, რომელიც შემდგომში ეკლესიას გადაეცა. აღნიშნული უდიდესი სიწმიდის საქართველოში დაბრუნების შესახებ საკმაო ხანია, მიმდინარეობდა მოლაპარაკება. ამ ვიზიტის დროს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სთხოვა სრულიად რუსეთის პატრიარქს, ალექსი II სიწმიდე სამშობლოში დაებრუნებინა, მით უმეტეს, რომ ამისათვის საგანგებოდ იქვე იქნა დაწერილი წმიდა ქეთევან დედოფლის ხატი. სწორედ ამ ხატში იქნა ჩატანებული ეს სიწმიდე.

5 მარტს საქართველოს საპატრიარქოს დელეგაცია თბილისში დაბრუნდა. წმიდა ქეთწევან დედოფლის ხატს უამრავი ხალხი დახვდა აეროპორტში. საპატრიარქოს დელეგაციას შეეგება საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები წმიდა სინოდის მღვდელმთავარ, ნიქოზისა და ცხინვალის მთავრეპისკოპოს ისაიას (ჭანტურია) მეთაურობით.

ხატი დროებით დააბრძანეს სიონის საპატრიარქო ტაძარში. წმიდა ნაწილთან პატრიარქმა სამადლობელი პარაკლისი აღავლინა.

### მონაზვნად აღკვეცა

8 მარტს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით თბილისის ფერიცვალების დედათა მონასტერში მღვდელმონაზონმა ბარსანოფმა (მაზმიშვილი) მონაზვნებად აღკვეცა: მატრყოფის დედათა მონასტრის კვთილმოწესე, სამონაზვნე ტაისია (წივწივაძე) და უწოდა ქეთევანი; მატრყოფის დედათა მონასტრის სამონაზვნე ევსევია (ხერგიანი) და უწოდა მელანია; თბილისის ფერიცვალების დედათა მონასტრის სამონაზვნე თინა (ქობალია) და უწოდა ანუსია; ბეთანიის დედათა მონასტრის სამონაზვნე კირიაკია (თუნიაშვილი) და უწოდა აგნია.

ამავე დღეს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით მღვდელმონაზონმა ბარსანოფმა (მაზმიშვილი) თბილისის ფერიცვალების დედათა მონასტერში სამონაზვნედ დაასხა ხელი მარტყოფის დედათა მონასტრის მორჩილს, ნანა ყურაშვილს და უწოდა მაკრინე.

### შეხვედრა

26 თებერვალს საქართველოს მთავრობისა და გაეროს „ბავშვთა ფონდის 2001-2005 წლების ერთობლივი სამოქმედო პროგრამის შუალედური მიმოხილვა გაიმართა, რომელსაც საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები დაესწრნენ – სოციალური დაცვის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი ზურაბ ვარაზაშვილი და საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის უფროსის მოადგილე, გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქტორი ზურაბ ცხოვრებაძე.

### სტუდენტური კონფერენცია

9 მარტს თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის სტუდკავშირმა სასულიერო აკადემიაში კონფერენცია მოაწყო. კონფერენცია გახსნა სტუდკავშირის თავმჯდომარემ, ლევან მათეშვილმა. წაკითხული იქნა სამი მოხსენება: „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა“ – თსა-ს I კურსის სტუდენტი დაჩი დავლიანიძე, „ხატმებრძოლეობის მიზეზები“ –

დასასრული მე-6 გვ.

# ფოტომატიანე




## წმიდა ამბროსი აღმსარებელი (ხელაია) შვილებთან ერთად

მარცხნიდან: არქიმანდრიტი ამბროსი (შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი), ანა (1896–1960), ნინო (1890–1955) და ალექსანდრე (1888–1974) ხელაიები.

ფოტო გადაღებულია 1911 წელს, „სტარაია რუსაში" გადასახლების დროს. მისი მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით წმიდა ამბროსი აღმსარებლის შთამომავალს, ანა კლდიაშვილს.

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია:
98 95 41; 72 13 50; 60 61 50;
8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*

„საპატრიარქოს უწყებანის" რედაქციას განზრახული აქვს XX საუკუნეში უღმერთო ხელისუფლების მიერ რეპრესირებული სასულიერო პირებისა და მრევლის ცხოვრებისა და მოწამეობის ამსახველი კრებულის გამოცემა. ყველას გთხოვთ, დაგვეხმაროთ მასალების მოძიებაში.

გამოვიდა „საპატრიარქოს უწყებანის დამატება ბავშვებისათვის" ახალი ნომერი




გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ნუგზარ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი),
დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეიმურაზ გიგნაძე, თეიმურაზ სანაკოევი,
ლუარსაბ ტოგონიძე, მარიამ გაგუა, ნათია თაყაიშვილი, ხათუნა რამიშვილი, ნანა გოცირიძე,
დამკაბადონებელი: კახაბერ მაისურაძე, ოპერატორი: ზოია ქოქაშვილი.

# ფოტომატიანე



## შემოქმედის მონასტერი, 1889 წელი

სხედან მარცხნიდან: ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890), იღუმენი კორნელი(?), გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, ყოვლადუსამღვდელოესი გრიგოლი (დადიანი), არქიმანდრიტი ამბროსი, იღუმენი ალექსანდრე (ხაზინადარი), პროფესორი ნიკოდიმე კონდაკოვი (1844-1925), ყოვლადუსამღვდელოესის მდივანი.

მეორე რიგში მარცხნიდან მესამე: ოზურგეთის პრისტავი, გვარად მდივანი.

დანარჩენი პირების სახელები უცნობია.

ფოტო გადაღებულია 1889 წლის 20 აპრილს შემოქმედის მონასტერში. დ. ბაქრაძისა და ნ. კონდაკოვის არქეოლოგიური მოგზაურობის დროს, რომლის შედეგადაც შეიქმნა მათი შესანიშნავი წიგნი „опись памятников древности в некоторых храмах и в монастырях грузии".

ნ. ბერუჩაშვილის ფოტოარქივიდან მოგვაწოდა პროფესორმა ვ. სილოგავამ (ქვეყნდება პირველად).

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*

**„საპატრიარქოს უწყებანის" რედაქციას განზრახული აქვს XX საუკუნეში უღმერთო ხელისუფლების მიერ რეპრესირებული სასულიერო პირებისა და მრევლის ცხოვრებისა და მოწამეობის ამსახველი კრებულის გამოცემა. ყველას გთხოვთ, დაგვეხმაროთ მასალების მოძიებაში.**

**გამოვიდა „საპატრიარქოს უწყებანის დამატება ბავშვებისათვის" ახალი ნომერი**




გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი),
დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, თეიმურაზ საბანაძე,
ლუარსაბ ტოგონიძე, მარიამ გაგუა, ნათია თარაშვილი, ხათუნა რაჭიაშვილი, ნანა ბოლქვაძე,
დამკაბადონებელი: კახაბერ მამისურაძე, კორექტორი: ზოია ქობახიძე.

## ქრონიკა, ინფორმაცია

### პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიებები

22 მარტს საქართველოს საპატრიარქოში შედგა შეხვედრა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II და ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას შორის. შეხვედრაზე გადაწყდა ზვიად გამსახურდიას 65-ე წლისთავის აღნიშვნა საქართველოს მასშტაბით მთელი წლის განმავლობაში. 31 მარტს პრეზიდენტ გამსახურდიას დაბადებიდან 65 წელი სრულდება. ამასთან დაკავშირებით, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 26 მარტს, 14 საათზე სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდება, რომელსაც გახსნის და დალოცავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. 31 მარტს, 12 საათზე სიონის საპატრიარქო ტაძარში უწმიდესი და უნეტარესი შეასრულებს პანაშვიდს, ხოლო 18 საათზე თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ჩატარდება ამ დღეებისადმი მიძღვნილი კონცერტი. ამით დაიწყება პრეზიდენტ გამსახურდიას საიუბილეო დღეების აღნიშვნა, რომელიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში სხვადასხვა დროს გაიმართება, ხოლო პანაშვიდები ეპარქიების საკათედრო ტაძრებში შესრულდება.

### ბერად აღკვეცა

2004 წლის 13 მარტს გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსმა ექვთიმემ (ლეჟავა) წმიდა მამა დავით გარეჯელის ლავრაში ბერად აღკვეცა თბილისის სასულიერო სემინარიის დეკანი დიმიტრი ბოგვერაძე და მას დოსითე უწოდა.

### ხელდასხმა

29 თებერვალს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სიონის საპატრიარქოს ტაძარში დიაკვნად დაასხა ხელი თბილისის სასულიერო აკადემიის IV კურსის სტუდენტს ზურაბ ბუაძეს.

### უფასო კონსულტაცია

„ჯვარის მამასთან" არსებულ სამედიცინო სამსახურში 27 მარტს 12 სთ-დან 15 სთ-მდე ოფთალმოლოგი ჩაატარებს უფასო კონსულტაციებს, 28 მარტს 12-დან 15 სთ-მდე უფასო კონსულტაციებს ჩაატარებს ნევროპათოლოგი.

**ცნობებისათვის დარეკეთ ყოველდღე 12 სთ-დან 16 სთ-მდე. 98-90-12**

### შეცდომის გასწორება

გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" №10 გაიპარა უნებლიე შეცდომა. მე-13 გვერდზე, ბერი პაისის სიტყვებში ნაცვლად „ყოველმა მორწმუნემ სულში კეთილი შფოთვა შეიტანოს", უნდა იყოს: „ყოველმა მორწმუნემ ერეტიკოსის სულში კეთილი შფოთვა შეიტანოს".

*„უძლურ თუ ვინმე არს თქუენ შორის, მოუწოდენ ხუცესთა ეკლესიისათა, და ილოცონ მის ზედა და სცხონ მას ზეთი სახელითა უფლისაითა. და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი, და აღადგინოს იგი უფალმან. დაღაცათუ ცოდვაი რაიმე ექმნეს, მოევე-ტეოს მას."*

*(იაკობ. 5, 14-15).*

# ზეთის კურთხევის საიდუმლო

საეკლესიო საიდუმლოებანი ადამიანის ცხონების საქმეს ემსახურება. წმიდა წერილი კი საეკლესიო საიდუმლოების (ბერძნ. μιςτεριον) ღრმა საღვთისმეტყველო შინაარსსა და ცხოველი ქმედების უნარს ამჟღავნებს; ხოლო ღვთისმსახურთა შესახებ კი, რომელნიც ამ საიდუმლოთა აღმსრულებელნი არიან, გვაუწყებს: „ესრეთ შემრაცხენინ ჩუენ კაცმან, ვითარცა მსახურნი ქრისტესნი და მნენი საიდუმლოთა ღმრთისანი" (1 კორ. 4,1).

ზეთისკურთხევის საიდუმლოს აღსრულებით ადამიანს ეკლესიის ლოცვით ენიჭება მადლი, რომელიც განმწმედელია და სულიერი და ფიზიკური სნეულებებისგან მკურნებელი; ის აძლიერებს მორწმუნეს ეკლესიურ ცხოვრებაში. თუკი ადამიანი აღსარებებში სრულად და გულწრფელად ვერ აღიარებს თავის ცოდვებს, ჟრებები მძლავრობენ მასზე და სულთან ერთად მისი სხეულიც ზიანდება. ზოგჯერ ადამიანს ავი-

დასასრული მე-5 გვ.

# ფოტომატიანე




## არქიმანდრიტი ლეონიდე (ოქროპირიძე) (1861-1921)

შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

ფოტო გადაღებულია 1895 წელს დიმიტრი ერმაკოვის მიერ. მოგვაწოდა ქალბატონმა მანანა ჯავახაძემ.

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება*
*ლუარსაბ ტოგონიძე*

## ეპარქიათა საყურადღებოდ!

გთხოვთ დროულად დაფაროთ გაზეთის დავალიანება.

„საპატრიარქოს უწყებანის" რედაქციას განზრახული აქვს XX საუკუნეში ულმერთო ხელისუფლების მიერ რეპრესირებული სასულიერო პირებისა და მრევლის ცხოვრებისა და მოწამეობის ამსახველი კრებულის გამოცემა. ყველას გთხოვთ, დაგვეხმაროთ მასალების მოძიებაში.

გამოვიდა „საპატრიარქოს უწყებანის დამატება ბავშვებისათვის" ახალი ნომერი




გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი),
დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, თეიმურაზ საგანელიძე,
ლუარსაბ ტოგონიძე, მარიამ გაგუა, ნათია თარაშვილი, ხათუნა რამიშვილი, ნანა გოგუაძე,
დამკაბადონებელი: კახაბერ მაისურაძე, ოპერატორი: ზოია ჭოგაძე.

დასაწყისი მე-4 გვ.

საღამოს შესრულდება დიდი ლოცვა და შაბათს – საზეიმო წირვა. საზეიმო წირვა-ლოცვა ასევე შესრულდება წმიდა ლაზარეს სახელობის ეკლესიაში, რომელიც დიღომში მდებარეობს.

მომავალ კვირას არის ბზობა და ასევე საზეიმო წირვა-ლოცვა აღევლინება.

მინდა შეგახსენოთ, რომ ხარება წელს ვნების შვიდეულში, დიდ ოთხშაბათს უწევს. ამ დღესაც საზეიმო წირვა-ლოცვა შესრულდება. კალენდარში რატომღაც წერია, რომ ხარება ხსნილია თევზით. მე ვფიქრობ, რომ ჯობს ვნების შვიდეულში ვიმარხულოთ და ხარების დღესასწაული ხსნილი იყოს ზეთით და არა თევზით.

ღმერთმა ბედნიერი აღდგომა გაგითენოთ თქვენ და საქართველოს!

## ქრონიკა, ინფორმაცია

### განცხადება მედიისათვის

სამწუხაროდ, მასმედიის სხვადასხვა საშუალებები სისტემატურად უშვებენ შეცდომას საპატრიარქოს წარმომადგენელთა სტატუსის მითითებისას. ყოველივე ამის გამო, გვინდა განვაცხადოთ შემდეგი:

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის უფროსი 1997 წლიდან დღემდე დეკანოზი დავით შარაშენიძეა. პრესცენტრის უფროსის მოადგილე და გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქტორი – ზურაბ ცხოვრებაძე.

რაც შეეხება გიორგი ანდრიაძეს, რომელსაც ქართული მედია ხშირად საპატრიარქოს პრესმდივნად, პრესცენტრის ხელმძღვანელად, საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელად მოიხსენიებს, სინამდვილეში საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანი და რადიო „ივერიის“ გენერალური დირექტორი გახლავთ. გვსურს აღვნიშნოთ ისიც, რომ გიორგი ანდრიაძეს საპატრიარქოს პრესცენტრში არასდროს უმუშავია.

გთხოვთ, თქვენს პუბლიკაციებსა თუ გადაცემებში გაითვალისწინოთ აღნიშნული ინფორმაცია.

*საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი*

### ცნობა დასავლეთ ევროპის ეპარქიიდან

დასავლეთ ევროპის ეპარქიის მმართველის, მიტროპოლიტ აბრაამის (გარმელია) ლოცვა-კურთხევით, ავსტრიის დედაქალაქში 28 მარტს რუსულ მართლმადიდებლურ ტაძარში ქართული წირვა შესრულდა ვენის წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის ქართული სამრევლოსათვის. წირვა შეასრულა მიუნხენის წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის ქართული სამრევლოს წინამძღვარმა, მღვდელმა მამუკა თავხელიძემ. მედავითნე და მგალობელთა გუნდი, ლოტბარ ნანა გობეჯიას ხელმძღვანელობით მიუნხენის ქართული სამრევლოდან იყვნენ.

ვენის ქართულ სამრევლოსთან ერთად წირვას მიუნხენიდან ჩამოსული ქართველი მორწმუნენიც დაესწრნენ.

მამა მამუკამ ვენის სამრევლოს მეუფე აბრაამის გულთბილი მოკითხვა და ლოცვა-კურთხევა გადასცა. შემდეგ მან აკურთხა 5 ახალდაწერილი ხატი, რომელიც ვენაში მოღვაწე ქართველმა ხატმწერმა დაწერა.

წირვის შემდეგ მღვდელი მამუკა თავხელიძე შეხვდა რუსული სამრევლოს მმართველ მღვდელმთავარს, ბუდაპეშტისა და ვენის ეპისკოპოს ილარიონს. მეუფე ილარიონმა უამბო, რომ იგი 14-15 წლის ასაკში ორი ზაფხულის განმავლობაში სიონის საკათედრო ტაძარში უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II სტიქაროსნად მსახურობდა და მას დიდი პატივისცემა აქვს მისი უწმიდესობისა და ქართული ხალხის მიმართ. მეუფე ილარიონი მამა მამუკას დაპირდა, რომ ამის შემდეგ თვეში ერთხელ იგი დაუთმობს ვენაში რუსულ ტაძარს ქართულ სამრევლოს წირვის შესასრულებლად.

იმავე დღეს მღვდელი მამუკა მრევლთან ერთად საქართველოს საელჩოსკენ გაემართა, სადაც ქართულმა სამრევლომ მონაწილეობა მიიღო საპარლამენტო არჩევნებში.

*მიუნხენის ქართული ეკლესიის სამრევლოს პრესცენტრი*

### საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღეს

25 მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღესთან დაკავშირებით გლდანი-ნაძალადევის გამგეობის საქტო დარბაზში ლომისის წმიდა. გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრის, მამა მიქაელ ასათიანისა და ჰარმონიული განვითარების რესპუბლიკური ცენტრის ერთობლივი ძალისხმევით მოსწავლეთა კონცერტი გაიმართა. ღონისძიებას დაესწრნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, სამღვდელოების წარმომადგენლები და განათლების მინისტრი, ბ-ნი კახა ლომაია.

### ბერად აღკვეცა

14 მარტს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II ლოცვა-კურთხევით ყოვლადწმიდა სამების მშენებარე ტაძართან არსებული მამათა მონასტრის წინამძღვარმა, მღვდელმონაზონმა დოროთემ (ყურაშვილი) ბერად აღკვეცა მორჩილები – შალვა საწუიძე და მას ამბაკუმ წინასწარმეტყველის სახელი უწოდა და ჯაბა ქირია, რომელსაც საბა განწმედილის სახელი უწოდა.

დასასრული მე-6 გვ.

დასაწყისი მე-4 გვ.

გამცემელი.

ხუთშაბათს საღამოს ახევე იქნება წაკითხული 12 ვნების სახარება. პარასკევს 2 საათზე გამოსვენდება გარდამოხსნა. შაბათს დილით 6 საათზე დაიწყება უფლის წესის აგება. შემდეგ ამას მოჰყვება წირვა. შაბათს საღამოს 12 საათზე კი დაიწყება სააღდგომო ლიტანიობა.

**ღმერთმა გაგაძლიეროთ და გაგახაროთ!**

**ღმერთმა ბედნიერი აღდგომა გაგითენოთ თქვენ და საქართველოს! ღმერთმა დალოცოს, გაახაროს, გააძლიეროს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო!**

**ჩვენთან არს ღმერთი!**

## ქრონიკა, ინფორმაცია

### ბერად აღკვეცა

2004 წლის 4 აპრილს, ბზობის დღესასწაულზე, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II ლოცვა-კურთხევით თაბორის მთის ფერისცვალების მამათა მონასტრის წინამძღვარმა, იღუმენმა ბართლომემ ამავე მონასტერში ბერად აღკვეცა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მორჩილი ზაბულონი (ვახტანგ ახალაძე) და მას ადამი უწოდა.

### მონაზვნად აღკვეცა

2004 წლის 5 აპრილს გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსმა ექვთიმემ (ლეჟავა) საგარეჯოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში მონაზვნად აღკვეცა სამონაზვნე ნანა (დიასამიძე) და მას სიდონია უწოდა.

### სამეცნიერო კონფერენცია თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმში

2004 წლის 30 მარტს ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავადაზნაურთა სკოლა-ლიცეუმში (დირექტორი ნიკოლოზ ამირეჯიბი) გაიმართა მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღესასწაულს. სკოლა-ლიცეუმი დაარსებიდანვე საპატრიარქოს დაქვემდებარებაშია და ამის გამო მჭიდრო კავშირშია იგი საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო-სამეცნიერო განყოფილებასთან, რომელსაც ხელმძღვანელობს პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი. კონფერენციაზე მოწვეულნი იყვნენ მაღალყოვლადუსამღვდელოესი, მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი, პროფესორი კოტე ჩოლოყაშვილი და ლეილა მირიანაშვილი.



სამეცნიერო კონფერენციაზე სკოლა-ლიცეუმის აღსაზრდელებმა წაიკითხეს საინტერესო თემები:

1. VII კლასის მოსწავლემ, ანა ციყელაშვილმა – „ხარება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა; ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი – უფლის უბიწო ჭურჭელი“;
2. XI კლასის მოსწავლე მარიამ ფაჯუნიშვილმა – „ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მარიამი – უწმიდესი და უბრძნესი დედა ადამის მოდგმას შორის“.

მომხსენებელმა აგრეთვე წარმოადგინა ბერძნულიდან ქართულ ენაზე საკუთარი თარგმანი – „ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წმიდა თავსაბურავის (მაფორიონის) შესახებ“.

3. VII კლასის მოსწავლე ნინო კიკნაძემ წაიკითხა მოხსენება – „მოციქულთასწორი წმიდა დედა ნინო“;
4. VII კლასის მოსწავლემ ანა კუნჭულიამ – „სასწაულები წმიდა ნინოს საქართველოში შემოსვლისას“;
5. VII კლასის მოსწავლემ ანდრია ჩალაურმა – „მაცხოვრის გენეალოგია“;
6. VII კლასის მოსწავლემ ანა კიკნაძემ – „იესო იეშუა – მხსნელი, ქრისტე – ცხებული, ემანუელ – ჩვენთან არს ღმერთი“;
7. VIII კლასის მოსწავლემ ლუკა ჯანგირაშვილმა – „წმიდა მღვდელმთავარი ნიკოლოზი“;
8. VIII კლასის მოსწავლემ გიორგი ნათელაშვილმა – „საქართ-

დასასრული მე-6 გვ.

# ქრონიკა, ინფორმაცია

## ხელდასხმა

28 მარტს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი ჯვრის მონასტრის ბერდიაკონ გრიგოლს (ქოჩიაშვილი) და დიაკვნად დაასხა ხელი ჯვრის მონასტრის ბერ ნიკოლოზს (რუაძე).


ბერდიაკონი ნიკოლოზი

* * *

7 აპრილს, ხარების ბრწყინვალე დღესასწაულზე უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II პარაკლისი აღავლინა ყოვლადწმიდა სამების მშენებარე ტაძარში, სადაც მონასტრის წინამძღვარი, მღვდელმონაზონი დოროთე იღუმენის ხარისხში აიყვანა.

* * *



10 აპრილს სამთავისისა და გორის ეპისკოპოსმა ანდრიამ (გვაზავა) გორის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში დიაკვნად დაასხა ხელი ბერ კოზმას (გუჯაბიძე).

* * *

3 აპრილს ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსმა სტეფანემ (კალაიჯიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ბერდიაკვან ცოტნეს (მარიამიძე).

* * *

27 მარტს ღირსი დავით გარეჯელის ლავრაში გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსმა ექვთიმემ (ლეჟავა) და საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) მღვდლად დაასხეს ხელი ბერდიაკვნებს - იოანეს (მსხილაძე) და იაკობს (ავალიშვილი).

## ბერების აღკვეცა ნეკრესის მონასტერში

9 აპრილს, წითელ პარასკევს, ნეკრესის მამათა მონასტერში ნეკრესისა და ჰერეთის მიტროპოლიტმა სერგიმ (ჩეკურიშვილი) ბერებად აღკვეცა ნეკრესის მამათა მონასტრის მორჩილები: ბესარიონი (პავლიაშვილი) და უწოდა ანტონი და გიორგი (ქემოკლიძე) და უწოდა დოსითე.



## ქართული შენაერთი ერაყში გაემგზავრა

7 აპრილს საქართველოდან ერაყში გაემგზავრა მეორე ქართული შენაერთი, რომელსაც გაჰყვა მოძღვარი, კაპელანი დავით ლონდარიძე. შენაერთის ხელმძღვანელია მაიორი ჩაჩიბაია. გამგზავრების წინ ქართველი მეომრები მიიღო და დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსმა, ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსმა გერასიმემ (შარაშენიძე), რომელმაც შენაერთის ხელმძღვანელს მისი უწმიდესობის მიერ გამოგზანილი საჩუქრები გადასცა.


მეუფე გერასიმე და მამა დავითი ქართველ ოფიცრებთან ერთად

## შენდება ახალი ტაძარი

ნეკრესის მამათა მონასტერი 2000 წელს ამოქმედდა და მისი წინამძღვარია იღუმენი იაკობი (ბულაძე). ამჟამად ნეკრესისა და ჰერეთის ეპარქიაში 7 ბერია, აქედან 4 ნეკრესის მონასტერში მოღვაწეობს. გასულ წელს მიტროპოლიტ სერგის ლოცვა-კურთხევით ნეკრესის მამათა მონასტერში წმიდა აბიბოს ნეკრესელის სახელობის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრის მშენებლობა დაიწყო. საქართველოში ეს იქნება პირველი ტაძარი, რომელიც ერთ-ერთი ასურელი მამათაგანის, წმიდა აბიბოს ნეკრესელის სახელზე აშენდება მის მიერვე, VI საუკუნეში დაარსებულ მონასტერში.

## ახალი გამოცემები

წმიდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერმა 2003 წელს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით გამოსცა საღვთისმსახურო კრებული „საზიარო თვენი". იგი შეიცავს საზოგადო განგებებს, რომლებიც გამოიყენება შესაბამისი დასის სხვადასხვა წმინდანის მსახურებისას. დღეს, როცა ჯერ კიდევ მომდინარეობს ჰიმნოგრაფიული თვენის გამოცემა და როცა უამრავი ახ-

გაგრძელება მე-12 გვ.

# ფოტომატიანე



## ქუთაისი, მოწამეთას მონასტერი

### 1954 წლის ოქტომბერი

ფოტო გადაღებულია მონასტრის აღდგენისა და წმიდა ნაწილთა დაბრუნების შემდგომ ტაძრის კურთხევისას. მასზე გამოსახულნი არიან: ცენრტში – ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი გაბრიელი (ჩაჩანიძე); მისგან მარჯვნივ – ქუთაისის პეტრე-პავლეს სახელობის ტაძრის დეკანოზი ნიკოლოზ ბერეკაშვილი; თბილისის წმიდა სამების ტაძრის დეკანოზი მელქისედეკ ხელიძე; უცნობი სასულიერო პირი; ჩოხით – მიხეილ დვალი; მეუფე გაბრიელისგან მარცხნივ მთავარდიაკონი მ. რობაქიძე(?); სახარებით ხელში – დეკანოზი ნაუმ შავიანიძე (შემდგომში ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი);

დანაჩენი საერო და სასულიერო პირების სახელები უცნობია.

ფოტო ინახება ქალბატონ ეთერ დვალი-სოხაძის ოჯახში, მოგვაწოდა ბატონმა რამაზ ნაცვლიშვილმა.

ცნობები მოწამეთას მონასტრის განახლების შესახებ იხ. „საპატრიარქოს უწყებანი“ 2003, №14(221)

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მთავარდიაკონი დიმიტრი (შიოლაშვილი), დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, თეიმურაზ საგანელიძე, ლუარსაბ ტოგონიძე, მარიამ გაბეჩავა, ნათია თარაშვილი, ხათუნა რამიშვილი, ნანა ბოკუჩავა, თამარ ასათიანი, დამკაბადონებელი: კახაბერ მაისურაძე, კორექტორი: ზოია ქოჩახიძე.

# ფოტომატიანე



## საწერეთლოს (პერევისის) ეკლესიის მღვდელი ზაქარია წერეთელი ოჯახით

1900-იანი წლები. ჭიათურა.

სხედან: მღვდელი ზაქარია წერეთელი, მისი მეუღლე — ოლიმპიადა, დგას მათი ვაჟი — ნესტორ წერეთელი, დახვრეტილი 1924 წელს შორაპანში, მატარებლის ვაგონში, სხვა ქართველ მამულიშვილებთან ერთად.

ფოტო მოგვაწოდა ნესტორ წერეთლის შვილიშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, გიორგი ხარაბაძემ.

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*

„საპატრიარქოს უწყებანის" რედაქციას განზრახული აქვს XX საუკუნეში უღმერთო ხელისუფლების მიერ რეპრესირებული სასულიერო პირებისა და მრევლის ცხოვრებისა და მოწამეობის ამსახველი კრებულის გამოცემა. ყველას გთხოვთ, დაგვეხმაროთ მასალების მოძიებაში.

გამოვიდა „საპატრიარქოს უწყებანის დამატება ბავშვებისათვის" ახალი ნომერი




გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დომენტი (ჩოლოყაშვილი), დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, თეიმურაზ ხაჩანიძე, ლუარსაბ ტოგონიძე, მარიამ ბაბუა, ნათია ფარაშვილი, ხათუნა რაჭველიშვილი, ნანა კოპაძე, თამარ ასათიანი, დამკაბადონებელი: კახაბერ მაისურაძე, კორექტორი: ზოია კოკაბიძე.

# ფოტომატიანე




## ქართველი ბერები ათონის მთაზე. 1908 წელი.

ბერი გიორგი (დარჩია) - შემდგომში არქიმანდრიტი და ბერი პავლე (ჯაფარიძე) - შემდგომში წილკნელი ეპისკოპოსი.

ორივე ქართველი ბერი მოღვაწეობდა ათონის წმიდა მთაზე, წმიდა იოანე ღვთისმეტყველის ქართველთა სავანეში. სამწუხაროდ, იქ შექმნილი გაუსაძლისი პირობების გამო ორივეს მოუწია ათონის წმიდა მთის დატოვება და სამშობლოში დაბრუნება.

მამა გიორგი დარჩია მოღვაწეობდა სამეგრელოში. 1930-იან წლებში უღმერთო ხელისუფლებამ დახვრიტა. ხოლო მამა პავლე ჯაფარიძე სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის არქიმანდრიტი იყო. 1924 წელს ხელდასხმულ იქნა წილკნელ ეპისკოპოსად. გარდაიცვალა 1929 წელს.

---

ფოტო მოგვაწოდა ეპისკოპოს პავლე ჯაფარიძის დისშვილმა, ქალბატონმა ჟუჟუნა სიჭინავამ.

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონები: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*

„საპატრიარქოს უწყებანის" რედაქციას განზრახული აქვს XX საუკუნეში უღმერთო ხელისუფლების მიერ რეპრესირებული სასულიერო პირებისა და მრევლის ცხოვრებისა და მოწამეობის ამსახველი კრებულის გამოცემა. ყველას გთხოვთ, დაგვეხმაროთ მასალების მოძიებაში.

გამოვიდა „საპატრიარქოს დამატება ბავშვებისათვის" ახალი ნომერი




გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

**რედაქტორი:** ზურაბ ცხოვრებაძე,
**სარედაქციო კოლეგია:** მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი), დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, ლუარსაბ ტოგონიძე, მარიამ გაგუა, ნათია თარაშვილი, ხათუნა რაჭიაშვილი, ნანა პოლუმავა, თამარ ასათიანი,
**დამკაბადონებელი:** კახაბერ მაისურაძე, **ოპერატორი:** ზოია ძოზახიძე.

დასაწყისი მე-3 გვ.

იქნებიან. და თავის შესაძლებლობებს გაუცნობიერებლად ბოროტად გამოიყენებენო.

თუნდაც ბირთვული იარაღი ავიღოთ. თქვენ იცით, თავად სიტყვა ატომი განუყოფელს ნიშნავს. ადამიანს ეს ნაწილაკი განუყოფელი ეგონა, მაგრამ დადგა დრო, როცა მეცნიერებმა ისიც გაჰყვეს, რის შედეგადაც წარმოიშვა უზარმაზარი ენერგია. მაგრამ მასაც ხომ კეთილად გამოყენება უნდა! ხომ შეიძლებოდა ბირთვული იარაღი არ შეექმნა კაცობრიობას და ეს ენერგია მხოლოდ ადამიანის საკეთილდღეოდ მიემართა.

ერთი ათონელი მამა ასეთ საოცარ სიტყვებს ამბობს: მაცხოვარი დგას და აკაკუნებს ადამიანის გულზე, – გამიღე და შემოვალ შენშიო. ბოროტი ძალა კი ადამიანის გონებას უკაკუნებს. ბოროტს სურს აცდუნოს ადამიანი და დაეუფლოს მის გონებას და დააბნელოს იგი.

აი, ასეთი რთულია სრულყოფის კიბე. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ შეუძლებელია ადამიანი ერთ ადგილზე დარჩეს. იგი ან დაბლა ეშვება, ან მაღლა მიიწევს. უფალმა აგვარიდოს დაბლა სვლას და მხოლოდ ზესვლა გვარგუნოს სულიერ კიბეზე. უპირველეს ყოვლისა კი უფალმა სულიერი სრულყოფა მოგვმადლოს და შემდეგ მეცნიერული, კულტურული, ზნეობრივი და სხვა. ჩვენ უნდა გავხდეთ მკვიდრნი ღვთის სასუფევლისა!

ერთი სერბი მღვდელმთავარი დამშვიდობებისას ასეთ სიტყვებს ამბობდა: „სასუფეველში შეხვედრამდეო." ღმერთმა ინებოს, რომ მთელი ქვეყანა, საქართველო, ყოველნი ქართველნი და მთელი მსოფლიო გახდეს მკვიდრი სასუფევლისა!

დალოცვილი და გახარებული იყავით და ღმერთმა ბედნიერი პეტრე-პავლობა გაგითენოთ!

**ჩვენთან არს ღმერთი!**

## ქრონიკა, ინფორმაცია

### ქართულენოვანი წირვა ბერლინში

19 ივნისს ბერლინში, რუმინულ ეკლესიაში ქართულენოვანი წირვა ჩატარდა. წირვა აღავლინა არქიმანდრიტმა ლაზარემ (სამადბეგიშვილი), წირვის ბოლოს მოინათლა ერთი ქართველი ბავშვი. ამასთანავე, ბერლინში შეიქმნა ქართული „სამრევლოს . კავშირი", რომლის სამდივნოს უფროსადაც არჩეულ იქნა არქიმანდრიტი ლაზარე. სამრევლომ გახსნა საბანკო ანგარიშიც:

AOAK von Georgien in Deutschland e. V

Konto Nr 0638619

BLZ 100 700 00

Deutsche Bank Berlin

### პატრიარქი წალკას ესტუმრა

17 ივნისს წალკას უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ესტუმრა. მან მოინახულა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია და მრევლს შეხვდა. უწმიდესი და უნეტარესი ბრძანდებოდა აგრეთვე წმიდა დიმიტრის სახელობის ეკლესიაში, რომლის რესტავრაციაც მალე დაიწყება.

იმავე დღეს პატრიარქი შეხვდა წალკაში დისლოცირებულ შინაგანი ჯარის ქვედანაყოფის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს და დალოცა ისინი.

### ხელდასხმა

20 ივნისს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში თბილისის ყოვლადწმიდა სამების მონასტრის ბერდიაკვანს, ილია თოლორაიას მღვდლად და ბერ ამბაკო სანიკიძეს დიაკვნად დაასხა ხელი.

### ანჩისხატის მგალობელთა გუნდის კონცერტი

ანჩისხატის მგალობელთა გუნდი კერძო მიწვევით ლატვიის დედაქალაქ რიგაში ერთკვირიან გასტროლებზე იმყოფებოდა, სადაც მათ შესანიშნავი შეხვედრა მოუწყეს. მსმენელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართული ხალხური სიმღერების მოსმენამ. „რიგაში საგუნდო მუსიკის დიდი ტრადიციებია, რაც ამ ხალხის პროფესიონალიზმზე მიუთითებს. ჩვენ ასეთი სიამოვნება არცერთ უცხო ქვეყანაში არ მიგვიღია", – განაცხადა გუნდის ლოტბარმა მალხაზ ერქვანიძემ.

ანჩისხატის გუნდი უახლოეს მომავალში კიდევ რამდენიმე უცხოურ ტურნეს გამართავს.

ქართული საგალობლების პოპულარიზაციის მიზნით გუნდი საქართველოს ეპარქიების შემოვლას აპირებს. კონცერტებზე ძირითადად ქართული საგალობლები აჟღერდება. გუნდი თავდაპირველად ბათუმისა და სხალთის ეპარქიას ეწვევა. ეს აქცია უწმიდესისა და უნეტარე-

გაგრძელება მე-5 გვ.

დასაწყისი მე-4 გვ.

ცოები თურქეთში". ფოტოსურათები ასახავს სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის შემსწავლელი ცენტრის ექსპედიციების მუშაობას თურქეთში. გამოფენის ორგანიზატორი და ფოტოების ავტორია ბუბა კუდავა. ცენტრის ხელმძღვანელი გახლავთ თსუ რექტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, ექსპედიციის წევრები იყვნენ ზურაბ ბატიაშვილი, ბუბა კუდავა, ბონდო კუპატაძე, გოჩა საითიძე, ჯაბა სამუშია. გახსნის დღეს გამოფენას ეწვია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოსი, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი თეოდორე (ჭუაძე), სასულიერო პირები და საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები. უწმიდესმა შემდეგი სიტყვებით მიმართა გამოფენის ორგანიზატორებსა და დამსწრე საზოგადოებას: „თქვენო აღმატებულებავ, ბატონო რექტორო, ქალბატონებო და ბატონებო, ყველას გულითადად მოგესალმებით. რასაც ჩვენ დღეს ვხედავთ, ეს შეიძლება დროის სამ განზომილებაში წარმოვიდგინოთ: წარსულში, დღევანდელ დღესა და მომავალში. ჩვენი წარსული დიდებულია; დიდებულია ჩვენი წინაპრების საქმენი. დღეს ჩვენს წინაშე დგას პრობლემები, რომ ეს შესანიშნავი სიწმინდე – ეს ძეგლები არ დავკარგოთ და შევინარჩუნოთ. ასევე დიდებულს ვხედავ მე მომავალს და იმედი მაქვს, რომ აღდგება არა მარტო ტაძრები, არამედ წირვა-ლოცვაც ამ ტაძრებში.

მინდა მოგახსენოთ, რომ წმიდა სინოდმა მიიღო ისტორიული დადგენილება: ახალციხის მთავარეპისკოპოსს მიემატა ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიებიც; ასე რომ, ჩვენი მომავალი ნათელი და დიდებულია. მინდა დავლოცო ის ჯგუფი, რომელმაც მოაწყო ეს შესანიშნავი გამოფენა და ვთქვა, რომ ის კიდევ ერთხელ გვახსენებს იმას, რომ ტაო-კლარჯეთი ელოდება ქართველებს".

გამოფენა 2 ივლისამდე გასტანს.

**ხელდასხმა**

27 ივნისს სიონის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ ირაკლი ჭინჭარაშვილს.

***

27 ივნისს სიონის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II დიაკვნად ხელი დაასხა ელგუჯა ბაბუნაძეს.

**უფასო კონსულტაცია**

„ჯვარის მამასთან" არსებულ სამედიცინო სამსახურში ჩატარდება უფასო კონსულტაციები:

ონკოლოგ-მამოლოგი ზაქარია ზაუტაშვილი – 7 ივლისი, 17.00 სთ-დან.

ალერგოლოგი – 9 ივლისი, 15.00 - 17.00 სთ.

ტრავმატოლოგ-ორთოპედი, მტევნის (ხელის) და ტერფის ტრავმატოლოგ-ორთოპედი პაატა ლუდუშაური – 10 ივლისი, 12.00 – 15.00 სთ.

კარდიოლოგი – ყოველდღე 11.00 – 15.00 სთ.

ცნობებისათვის შეგიძლიათ მოგვმართოთ ტელეფონზე:

98-90-12.

ყოველდღე 12-დან 16 საათამდე.

## საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული მომლოცველთა სამსახური გიწვევთ, მოილოცოთ წმიდა ადგილები:

**ტიმოთესუბანი-სადგერის წმიდა გიორგი** 3 ივლისი; შაბათი გასვლა 8:00სთ; ფასი 11 ლ.

**ყინწვისი-სამწევრისი** 3 ივლისი; შაბათი; გასვლა 8:00 სთ; ფასი 8 ლ.

**ნოდოკრა (წმიდა დიდებულთა მოწამეთა, საქართველოს მეფეთა არჩილისა (744) და ლუარსაბისა** (1622) 4 ივლისი; კვირა; გასვლა 8:00 სთ; ფასი 8 ლ.

**მცხეთა-შიომღვიმე** 4 ივლისი; კვირა; გასვლა 8:30 სთ; ფასი 7 ლ.

**სამთავისი-უფლისციხე-ატენის სიონი** 10 ივლისი; შაბათი; გასვლა 8:00 სთ; ფასი 10 ლ.

**რუის-ურბნისი-ბრეთი (წირვაზე დასწრება)** 11 ივლისი; გასვლა 8:00 სთ; ფასი 8:00 სთ;

მომლოცველებს მოემსახურება გიდი;

ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე:

„ოქროს საწმისი", სიონის ქ. 13;

ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძართან არსებული მაღაზია, რუსთაველის 9;

დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მაღაზია, წერეთლის 44;

ვაკის სამების ტაძართან არსებული მაღაზია, ჭავჭავაძის 37;

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ.:

92 39 78; 30 88 76 (11-დან 17 სთ-მდე);

(899) 26 68 27

**იერუსალიმის წმიდა მიწის მოლოცვა. საბუთების მიღება 15. 07. 2004-მდე.**

# ფოტომატიანე



## ბერი ნეოფიტე (გულაია)

**(1894-1937)**

ბერი ნეოფიტე (ერისკაცობაში შერენდი გულაია) დაიბადა 1894 წელს ზუგდიდის მაზრის სოფელ ორსანტიაში პახვალა და ოლღა გულაიების კეთილმორწმუნე ოჯახში. მან სიყრმიდანვე გამოიჩინა სამონასტრო ცხოვრებისადმი ინტერესი და 1913 წელს, 19 წლის ასაკში ბერად აღიკვეცა აფხაზეთში, ბედიის მონასტერში. საქართველოში კომუნისტური ხელისუფლების დამყარების შემდგომ ბედიის მონასტერი დაიხურა და იქ მოღვაწე ბერები განიდევნენ. მამა ნეოფიტემ არ მიატოვა მონასტერი და თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში გაუსაძლის პირობებში აგრძელებდა მოღვაწეობას. მას დიდ დახმარებას უწევდა ჭითანავების ღრმადმორწმუნე ოჯახი, რომელთაც შეიფარეს დევნილი ბერი. მამა ნეოფიტეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა არქიმანდრიტებთან–იოაკიმესა (შენგელაია) და კონსტანტინესთან (ქვარაია), ასევე მღვდელ-მონაზვნებთან–ივსიხი (გეგეჭკორი) და ტიხონთან (ბულია).

მამა ნეოფიტემ ველარ გაუძლო მძიმე სულიერ და ფიზიკურ ზეწოლას და ჯანმრთელობაშერყეული 43 წლის ასაკში, 1937 წელს გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია მშობლიურ სოფელ ორსანტიაში.

ფოტო მოგვაწოდა მამა ნეოფიტეს ძმისშვილმა, ქალბატონმა მიმოზა გულაიამ.

---

**თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.**

**ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.**

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*

**„საპატრიარქოს უწყებანის" რედაქციას განზრახული აქვს XX საუკუნეში უღმერთო ხელისუფლების მიერ რეპრესირებული სასულიერო პირებისა და მრევლის ცხოვრებისა და მოწამეობის ამსახველი კრებულის გამოცემა. ყველას გთხოვთ, დაგვეხმაროთ მასალების მოძიებაში.**

**გამოვიდა „საპატრიარქოს უწყებანის დამატება ბავშვებისათვის"- ახალი ნომერი**




გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ.გვერდი: http://www. patriarchate.ge
ელ. ფოსტა presscentri@yahoo.com მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი),
დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, ლუარსაბ ტოგონიძე,
მარიამ გაგუა, ნათია თარაშვილი, ხათუნა რამიშვილი, ნანა ბოკუჩავა, თამარ ასათიანი,
დამკაბადონებელი: ვლადიმერ ფორცხალავა, ოპერატორი: ზოია ქობახიძე.

დასაწყისი მე-7 გვ.

### უფასო კონსულტაცია

„ჯვარის მამასთან" არსებულ სამედიცინო სამსახურში ჩატარდება უფასო კონსულტაციები:

ალერგოლოგი - 9 ივლისს, 15.00-დან 17.00.-მდე;

ტრამვატოლოგ-ორთოპედი - 10 ივლისს, 12.00-დან 15.00-მდე;

ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი - 14 ივლისს, 16.30-დან 18.30.-მდე;

თერაპევტი - 15 ივლისს, 12.00.-დან 15.00.-მდე;

ქირურგი (კიდურების დაავადებები, სისხლძარღვთა დაავადებები, მუცლის ღრუს ორგანოთა დაავადებები) - 18 ივლისს, 12.00-დან 15.00.-მდე.

ცნობებისათვის დარეკეთ ყოველდღე 12.00-დან 16-საათამდე; ტელეფონი - 98 90 12

### ხელდასხმა

4 ივლისს სიონის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სასულიერო სემინარიის დეკანს ბერდია კვან დოსითეს (დიმიტრი ბოგვერაძე) მღვდელმონაზვნად დაასხა ხელი.

### კონფერენცია

24 ივნისს მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის ეგიდით კონფერენცია „განათლება და ზნეობა" ჩატარდა. კონფერენციაზე განხილულ იქნა საქართველოს განათლების სისტემაში არსებული რიგი პრობლემები. მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა მიიღო რეზოლუცია, რომლის ძირითად მოთხოვნებს შეადგენს სასწრაფოდ გამოქვეყნდეს განათლების სისტემის რეფორმის კანონპროექტი, რომელიც ფართო მსჯელობის საგანი გახდება; განათლების სამინისტროს „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების" დოკუმენტში მკვეთრად განისაზღვროს ქვეყნის ეროვნული ინტერესები და მიზნები; განათლების რეფორმის პროცესში სრულად იყოს გათვალისწინებული პრინციპი „მამული, ენა, სარწმუნოება" და ზოგადი განათლების პროგრამის შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სტრატეგიული მნიშვნელობის საგნებს - ქართულ ენასა და ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას; სასკოლო პროგრამებში არ იქნას შეტანილი სექსუალური სწავლება არანაირი ფორმით; მეტი ყურადღება მიექცეს ეკლესიისა და სახელმწიფოს მიერ ერთობლივად დაფუძნებულ მართლმადიდებლურ სკოლებს, სახელმწიფო სკოლებში რელიგიის სწავლება უნდა ემყარებოდეს ნებაყოფლობითობის პრინციპს, ამავე დროს საგნის სწავლების ზედამხედველობა მთლიანად ეკლესიის კომპეტენციაში უნდა იყოს. დაჩქარდეს განათლების სამინისტროსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის ხელშეკრულების დადება, რათა ნათლად გაირკვეს ურთიერთობების მიმართულება და ფარგლები, სამინისტროსთან არსებულ საზოგადოებრივ საკონსტიტუციო საბჭოში შეყვანილნი იქნენ საპატრიარქოსა და მართლმადიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა მიმართა საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს, რათა მათ არ დაუშვან ქვეყნის ტრადიციული ღირებულებების შემბღალავი და უცხო, საქართველოსთვის მტრული შეხედულებების მატარებელი სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შესაძლო დამკვიდრება საქართველოს სკოლებში და ქვეყნის სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით წარმართონ საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმა.

## საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული მომლოცველთა სამსახური გიწვევთ, მოილოცოთ წმიდა ადგილები:

სამთავისი—უფლისციხე — ატენის სიონი;
10 ივლისი, შაბათი; გასვლა 8. 00 სთ; ფასი 10 ლარი;

ყინწვისი-სამწევრისი 3 ივლისი; შაბათი; გასვლა 8.00 სთ; ფასი 8 ლ.

რუის-ურბნისი—ბრეთი (წირვაზე დასწრებით) 11 ივლისი, კვირა; გასვლა 8.00 სთ; ფასი 9 ლარი;

დადება პატიოსნისა სამოსლისა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა ბლაქერნას, ბლაქერნობა —გასვლა 14 ივლისი, 23 საათზე; ფასი 16 ლ.

ყოვლადწმიდა სამების დღესასწაული ყაზბეგის რაიონის სოფელ გერგეთში, სამებობა 16 ივლისს 06.30-საათზე; ფასი 16 ლარი;

რკონი—ერთაწმინდა —17 ივლისს, 8 საათზე; ფასი 9 ლ;

მანგლისი—წვერის წმიდა გიორგი — 18 ივლისს, 8 საათზე, ფასი 9 ლარი.

მომლოცველებს მომსახურება გიდი;
ბილეთები გაიცემა შემდეგ მისამართებზე:
„ოქროს საწმისი", სიონის ქ. 13;
ქაშვეთის წმ. გიორგის ტაძართან არსებული მაღაზია, რუსთაველის 9;
დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მაღაზია, წერეთლის 44;
ვაკის სამების ტაძართან არსებული მაღაზია, ჭავჭავაძის 37;
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ.:
92 39 78; 30 88 76 (11-დან 17 სთ-მდე);
(899) 26 68 27

იერუსალიმის წმიდა მიწის მოლოცვა. საბუთების მიღება 15. 07. 2004-მდე.

დასაწყისი მე-8 გვ.

წმიდა სამების მღვდელმთავრებთან – ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელთან (დათუაშვილი), სტეფანწმინდისა და ხევის ეპისკოპოს პეტრესთან (ცაავა) და თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოს იეგუდიელთან (ტაბატაძე) ერთად სადღესასწაულო წირვა-ლოცვა აღავლინა გერგეტის ყოვლადწმიდა სამების ტაძარში.

## მცირე განმარტება „კურიერის" ინფორმაციასთან დაკავშირებით

სატელევიზიო არხის „რუსთავი 2"-ის საინფორმაციო გამოშვება „კურიერში" გადაიცა არასწორი ინფორმაცია, თითქოს თბილისის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის დეკანოზმა ზაზა თევზაძემ მართლმადიდებლისა და ანგლიკანს ჯვარი დაწერა. როგორც ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა გიორგი თევდორაშვილმა გვაცნობა, მამა ზაზამ ჯვრისწერის წინა დღეს ანგლიკანური კონფესიის წარმომადგენელი მართლმადიდებლური წესით მონათლა, რაც შეეხება ჯვრისწერას, იგი ნათლობის შემდეგ შესრულდა, ამგვარად ჯვრისწერა შედგა მართლმადიდებელთა შორის.

## ბერად აღკვეცა

6 ივლისს, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით, ტიბაანის წმიდა სტეფანე ხირსელის სახ. მამათა მონასტერში მღვდელმონოზონმა სერაფიმემ (ქედია) ბერად აღკვეცა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული, მორჩილი ზაზა გვაჯაია. ახლადაღკვეცილ ბერს სახელად იოანე ეწოდა.

## ხელდასხმა

7 ივლისს, იოანე ნათლისმცემლის შობის დღესასწაულზე საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) მღვდლად დაასხა ხელი დიაკვან დავით ბურდულს და დიაკვნად აკურთხა თეიმურაზ კიკნაძე.

## ბერად აღკვეცა ნეკრესის მონასტერში

10 ივლისს, ნეკრესის მამათა მონასტერში მონასტრის წინამძღვარმა, იღუმენმა იაკობმა (მელაძე) ბერებად აღკვეცა ნეკრესის მონასტრის მორჩილები: ზაზა (ფრიდონაშვილი), რომელსაც სახელად ეწოდა ისააკი, სერგი (ტულუში), რომელსაც ეწოდა ესაია და ელგუჯა (პიტალსკი) - ეწოდა სერგი. ბერების აღკვეცას ესწრებოდნენ ნეკრესისა და ჰერეთის მიტროპოლიტი სერგი (ჩეკურიშვილი), ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოსი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი) და ახალციხის, ტაო–კლარჯეთისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოსი თეოდორე (ჭუაძე), სამღვდელოება და მრევლი.



ნეკრესისა და ჰერეთის ეპარქიაში, რომელიც ყვარლის, ლაგოდეხის რაიონებსა და საინგილოს მოიცავს, 2 მამათა მონასტერია.

ამჟამად ნეკრესის ეპარქიაში 13 ბერი მოღვაწეობს.

## ცნობები ხონისა და სამტრედიის ეპარქიიდან

12 ივლისს პეტრე-პავლობის დღესასწაულზე სოფელ ნახახულევში გაიხსნა ახალი ეკლესია. ტაძარი აკურთხა ხონისა და სამტრედიის მთავარეპისკოპოსმა საბამ (გიგიბერია). ახალი ტაძარი წმიდა ქალწულმოწამე ბარბარეს სახელობისაა.

18 ივლისს ხონისა და სამტრედიის მთავარეპისკოპოსმა საბამ დიაკვნად დაასხა ხელი ავთანდილ რუხაძეს და უწოდა სახელად ათანასე.

იმავე დღეს ხონისა და სამტრედიის მთავარეპისკოპოსმა საბამ მღვდლად ხელი დაასხა თბილისის სასულიერო აკადემიის V კურსის სტუდენტს, დიაკონ ზურაბ ბუაძეს.

## ქართველ კინემატოგრაფთა წარმატება მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალზე რუსეთში

21 აპრილიდან – 1 მაისამდე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი ალექსი II ლოცვა-კურთხევით, ციმბირის ქალაქ ირკუტსკში ჩატარდა XIII საერთაშორისო კინოფესტივალი - „Золотой Витязь". აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კინოფორუმი ყოველწლიურად იმართება რუსეთის სხვადასხვა ქალაქში.

ფესტივალში მონაწილეობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებმა მიიღეს.

სერბეთის დელეგაციამ კინოფორუმს საჩუქრად თეთრი ანგელოზის ხატი ჩამოუტანა.

გაგრძელება მე-10 გვ.

# ფოტომატიანე



კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II (სიდამონიძე) და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი)

სამთავროს მონასტერი. 1970 წელი

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია:
98 95 41;
72 13 50; 60 61 50;
8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*

„საპატრიარქოს უწყებანის" რედაქციას განზრახული აქვს XX საუკუნეში ულმერთო ხელისუფლების მიერ რეპრესირებული სასულიერო პირებისა და მრევლის ცხოვრებისა და მოწამეობის ამსახველი კრებულის გამოცემა. ყველას გთხოვთ, დაგვეხმაროთ მასალების მოძიებაში.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: [illegible],
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი), [illegible], ლუარსაბ ტოგონიძე, [illegible],
დამკაბადონებელი: [illegible], კორექტორი: [illegible].

# ფოტომატიანე



თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია:
98 95 41;
72 13 50;
60 61 50;
8(99) 54 82 29.

რუბრიკას უძღვება
ლუარსაბ ტოგონიძე

**დეკანოზი იერონიმე საძაგლიშვილი შვილთან, პატარა გიორგისთან ერთად**
(შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმიდა მღვდელმოწამე კირიონი)
თბილისი, 1862 წელი

„საპატრიარქოს უწყებანის" რედაქციას განზრახული აქვს XX საუკუნეში ულმერთო ხელისუფლების მიერ რეპრესირებული სასულიერო პირებისა და მრევლის ცხოვრებისა და მოწამეობის ამსახველი კრებულის გამოცემა. ყველას გთხოვთ, დაგვეხმაროთ მასალების მოძიებაში.

გარეკანზე ტექსელის კუნძულისთვის შექმნილი ჯვარცმის ხატი (ხატმწერი თამარ გაგოშიძე)

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

**რედაქტორი:** ზურაბ ცხოვრებაძე,
**სარედაქციო კოლეგია:** მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი), დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, ლუარსაბ ტოგონიძე, მარიამ გაგუა, ნათია თაყაშვილი, ხათუნა რამაზაშვილი, ნანა ბოკუჩავა, თამარ ასათიანი,
**დამკაბადონებელი:** კახაბერ მაისურაძე, **ოპერატორი:** ზოია კოპაძე.

# ფოტომატიანე



## მარტყოფის ღვთაების მამათა მონასტრის საძმო

### 1922 წელი

სხედან მარცხნიდან: მღვდელმონაზონი ანტონი (ოროჟანდოვი(?)), იღუმენი ევაგრე (დიასამიძე), მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი გერმანე (იაშვილი), მღვდელმონაზონი ხარლამპი (ხომასურიძე), მღვდელმონაზონი იოანე (მაისურაძე; შემდგომში წმიდა იოანე აღმსარებელი), უსინათლო ბერი იოსები; დგანან: ბერდიაკონი იოსები, ბერდიაკონი იოაკიმე (რამაზაშვილი(?)), მექანიკოსი ვასილ გერიტიშვილი, ბერი აიათალა (ძამაშვილი(?)) და უცნობი პირი.

ფოტო გადაღებულია 1922 წელს. რამდენიმე თვის შემდგომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ მონასტერი გაუქმებულად გამოცხადდა. საძმოს უმეტესმა ნაწილმა სხვადასხვა მონასტერს შეაფარა თავი, ხოლო არქიმანდრიტმა გერმანემ, მღვდელმონაზონმა ხარლამპიმ და ბერმა აიათალამ ანტონ მარტყოფელის სვეტთან დაიდეს ბინა და ღვთაების სავანე სიცოცხლის ბოლომდე არ მიუტოვებიათ.

ფოტოს მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით დეკანოზ პეტრე ყრუაშვილს

---

**თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.**

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

**სარედაქციო კოლეგია:** მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი), დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, ლუარსაბ ტოგონიძე, მარინა ბაბუა, ნათია თარაშვილი, ხათუნა რამიაშვილი, ნანა გოგუაძე, თამარ ასათიანი,
**დამკაბადონებელი:** კახაბერ მაისურაძე, **ოპერატორი:** ზოია ქობახიძე.

# ფოტომატიანე



## წილკნელი მიტროპოლიტი გიორგი (ღონღაძე)
## (1894-1982)

მიტროპოლიტი გიორგი (გიორგი ნესტორის ძე ღონღაძე) დაიბადა 1894 წლის 7 ივლისს, შორაპნის მაზრის სოფელ ჩრდილში. 1909 წელს დაასრულა პირველდაწყებითი სასწავლებელი, 1913 წლიდან გელათისა და თბილისის ფერისცვალების მონასტრებში სწავლობს მედავითნეობას. 1914 წელს მსახურობს დუშეთის მაზრის სოფელ გრემისხევის ტაძარში მედავითნედ. 1914-17 წლებში მეფის რუსეთის ჯარის სამსახურშია. 1918 წელს ხელდასხმულია დიაკვნად გორის მაზრის სოფელ ატოცში. საქართველოში კომუნისტური ხელისუფლების დამყარების შემდგომ იგი სხვა ქართველ სასულიერო პირთა მსგავსად განიცდის დევნას და შევიწროვებას. 1949 წელს იკურთხა მღვდლად და გამწესებულია თელავის რაიონის სოფელ აწყურში. 1952 წელს მსახურობს სოფლებში: ალვანსა და ფშაველში. 1955 წლიდან მსახურობს თბილისის დიდუბის ღვთისმშობლის შობის ტაძარში და აღყვანილია დეკანოზის ხარისხში. 1974 წლის 13 იანვარს კათოლიკოს-პატრიარქ დავით V მიერ ხელდასხმულ იქნა მანგლელ ეპისკოპოსად. ხოლო 1978 წლის 4 იანვარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში. 1980 წელს იგი წილკნელი მიტროპოლიტია. მეუფე გიორგი დაჯილდოვებულია წმიდა ნინოსა და წმიდა გიორგის ორდენებით.

1982 წლის 22 ივნისს მძიმე ავადმყოფობის შემდგომ მიტროპოლიტი გიორგი გარდაიცვალა. წესი კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II აუგო. დაკრძალულია დიდუბის ტაძარში.

მიტროპოლიტი გიორგი გამოირჩეოდა მშობელი ეკლესიისადმი ერთგულებით, მას უმძიმეს პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ღირსეული მოძღვრისა და მამულიშვილის სახელი დაიმკვიდრა.

2004 წელს მიტროპოლიტ გიორგის დაბადებიდან 110 წელი შეუსრულდა.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*

„საპატრიარქოს უწყებანის" რედაქციას განზრახული აქვს XX საუკუნეში უღმერთო ხელისუფლების მიერ რეპრესირებული სასულიერო პირებისა და მრევლის ცხოვრებისა და მოწამეობის ამსახველი კრებულის გამოცემა. ყველას გთხოვთ, დაგვეხმაროთ მასალების მოძიებაში.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: [illegible]
სარედაქციო კოლეგია: [illegible]
დამკაბადონებელი: [illegible], კორექტორი: [illegible]

# ფოტომატიანე



## ალავერდობა 1971 წელი

დგანან მარცხნიდან: თელავის საკათედრო ტაძრის დეკანოზი გიორგი ცერცვაძე (შემდგომში ალავერდელი მიტროპოლიტო გრიგოლი), მიტროპოლიტი რომანოზი (პეტრიაშვილი), მღვდელი ანატოლი კრასნიხი, მღვდელ-მონაზონი პართენი (აფციაური), მღვდელი ათანასე ჩახვაშვილი (ამჟამად რუსთველი მიტოპოლიტი ათანასე).

სხედან: თელავის საკათედრო ტაძრის მამასახლისი ლაზარე და შალვა ცერცვაძე (მეუფე გრიგოლის ძმა).

ფოტოს მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით მიტროპოლიტ გრიგოლის რძალს, ქალბატონ ზოია ცერცვაძეს.

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*

## გამოვიდა „საპატრიარქოს უწყებანის დამატება ბავშვებისთვის“ ახალი ნომერი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი),
დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, ლუარსაბ ტოგონიძე,
მარიამ გაგუა, ნათია თარაშვილი, ხათუნა რამიაშვილი, ნანა ჯოლჯაძე, თამარ ასათიანი,
დამკაბადონებელი: კახაბერ მაისურაძე, კორექტორი: ზოია კოპაძე.

# ღირსეული წინაპრები

*ვეხმაურები გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანში“ გამოქვეყნებულ განცხადებას და გიგზავნით გედეონ ივანეს ძე ხუხუნის საოჯახო არქივიდან ამოკრეფილ ცნობებს და აგრეთვე ზეპირ გადმოცემებს ხუხუნების გვარის სასულიერო პირთა შესახებ.*

ხუხუნთა გვარი წარმოშობით სენაკის რაიონის სოფელ ლეძაძამედანაა. ამ გვარში ბევრი ღირსეული მამულიშვილი აღიზარდა, მაგრამ ამჯერად გვინდა გიამბოთ XIX-XX სს. მოღვაწე სასულიერო პირთა შესახებ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დეკანოზ ბესარიონ ივანეს ძე ხუხუნის მოღვაწეობა. იგი დაიბადა სოფელ ლეძაძამეში კეთილმორწმუნე აზნაურის ოჯახში; 1834 წელს სრულიად ყმაწვილი მარტვილის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. სასწავლებელი ბესარიონს წარჩინებით დაუმთავრებია 1841 წელს და მაშინვე ზუგდიდელი ვაჭრების დახმარებით თბილისში ჩამოსულა. მან მოახერხა გაცნობოდა სიონის საკათედრო ტაძრის წინამძღვარს, რომელსაც გაუმხილა ღვთისმსახურების ძლიერი სურვილი. წინამძღვარს მოსწონებია განათლებული ახალგაზრდა და ტაძრის კრებულში ჩაურიცხავს.

სიონის საკათედრო ტაძარში სამსახურის დროს ბესარიონს საეკლესიო წესებისა და კანონების ათვისებით, საეკლესიო წიგნების შესწავლით გაუფართოებია ცოდნა. ეკლესიაში გულმოდგინე სამსახურისთვის წინამძღვარს ბესარიონ ხუხუნის მღვდლად კურთხევა განუზრახავს და იგი საეგზარქოსო საგამოცდო კომისიაზე გამოსაცდელად წარუდგენია. კომისიის დადებითი შეფასების შემდგომ საქართველოს ეგზარქოსმა ისიდორე ნიკოლსკიმ მისი მღვდლად კურთხევა დაავალა ჭყონდიდელ ეპისკოპოსს. ჭყონდიდელს ხუხუნისათვის მისთვის მოუთხოვია სამეგრელოს მთავარ დავით დადიანისაგან აელო წერილობითი ნებართვა აზნაურობიდან სასულიერო წოდებაზე გადასვლისათვის. დადიანის ოფიციალური ნებართვის შემდეგ ჭყონდიდელს მარტვილის საკათედრო ტაძარში ბესარიონ ხუხუნი მღვდლად უკურთხებია და 1852 წელს სოფელ გურძემში ზაკას და ოხვამედ წოდებულ ეკლესიებში გაუმწესებია. სამწუხაროდ, ამ პერიოდში მამა ბესარიონს შეემთხვა მძიმე განსაცდელი. მისი ფეხმძიმე მეუღლე ცხენით მძიმე მგზავრობის გამო გარდაიცვალა.

საქართველოს საეგზარქოსო საბჭოს განკარგულებით ჭყონდიდელ მღვდელმთავარ ანტონს (დადიანი) მამა ბესარიონ ხუხუნი კომისიის ხელმძღვანელად დაუნიშნავს, მას დაევალა ისლით გადახურულ ფაცხებში და ჯარგვლებში მოთავსებული ეკლესიების გაუქმება, მათ ნაცვლად ხის ან ქვიტკირის ახალი ტაძრების აშენება და მათი საღვთისმსახურო ნივთებითა და შესამოსლებით უზრუნველყოფა. ასეთი ეკლესიები იყო: ლესაჯეში – წმ. ბარბარეს, მისარიონის წმიდა გიორგის, ლეძაძაბის (ახლანდელი ლეარზიანეს) მაცხოვრის ეკლესიები. ყველა ასეთი ეკლესია კომისიას დაურღვევია და ახალი შესაფერისი ტაძრები აუშენებია.

მღვდელი ბესერიონ ხუხუნი რამდენიმე წლის შემდეგ გურძემიდან ლეძაძამეში გადაუყვანიათ. მისთვის ნაქალაქევის საბლაღოჩინო ოლქის ბლაღოჩინობა მიუნიჭებიათ და დეკანოზის ხარისხში აუყვანიათ.

ლეძაძამეში დეკანოზმა ბესარიონ ხუხუნმა 1861 წ. თავის ოჯახში გამართა საშინაო სკოლა, რათა იქ სამომავლოდ განათლებული მღვდელმსახურები და ეკლესიის მსახურები: მედავითნეები და მგალობლები მოემზადებინა. ამ სკოლას თავად დეკანოზი ბესარიონ ხუხუნი ხელმძღვანელობდა. უმეტეს დროს წირვა-ლოცვასა და ღვთისმსახურებას ანდომებდნენ. სწავლა უფასო ყოფილა. მოწაფეთა ასაკს ყურადღება არ ექცეოდა. სწავლობდნენ 15-დან 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდები. უმეტესობა ახლო მცხოვრები გლეხობიდან ყოფილა, უმნიშვნელო ნაწილი კი – აზნაურებიდან.

ლეძაძამეში სამრევლო სკოლამ 1884 წლამდე იარსება, – სრულიად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის მიერ სასულიერო სკოლების გახსნის და გავრცელების შესახებ სპეციალური განკარგულების გამოცემამდე. 1885 წ. წმიდა სინოდ-

გაგრძელება მე-15 გვ.

დასასრული მე-14 გვ.

მა დაამტკიცა სასწავლო გეგმა სამღვდელო სკოლებისათვის, რამაც სამრევლო სკოლების ნაყოფიერი მუშაობა მოშალა.

დეკანოზი ბესარიონ ხუხუნი გარდაიცვალა 1887 წელს და დასაფლავებულია ლეხაურის წმიდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის სასაფლაოზე.

ხუხუნების გვარის ღირსეული წარმომადგენელია დეკანოზ ბესარიონის ძმისწული დეკანოზი იოანე ნიკოლოზის ძე ხუხუნი. დეკანოზ ბესარიონ ხუხუნის გარდაცვალების შემდეგ ნაქალაქევის საბლაღოჩინო ოლქს ხელმძღვანელობდა დეკანოზი იოანე ხუხუნი.

ნაქალაქევის საბლაღოჩინო ოლქის შემადგენლობაში შედიოდა შემდეგი ეკლესიები: ნაქალაქევის, აბედათის, ნახუნეს, უშაფათის, ფოცხის, თამაკონისა და სალხინოს. თითოეულ ეკლესიას ჰყავდა მღვდელი, მთავარდიაკონი, მედავითნე და მნათე.

ბლაღოჩინის (კეთილმოწესის) რეზიდენცია ნაქალაქევის „ორმოც მოწამეთას" სახელობის ეკლესიაში ყოფილა.

დეკანოზ იოანეს ნაქალაქევში, ეკლესიის ეზოში (ბალავ) კანცელარია ჰქონდა, სასულიერო ხასიათის საქმეებს იქ არჩევდა, ჰყავდა მდივანიც.

მამა იოანე ნიკოს ძე ხუხუნი მსახურობდა მიურატების კარის მღვდლად. იგი დროგამოშვებით ეწეოდა ღვთისმსახურებას გორდში დადიან-მიურატების საზაფხულო რეზიდენციაში.

1901 წელს ლეხაურის მაცხოვრის სახელობის ეკლესიასთან დეკანოზი იოანე ხუხუნის ინიციატივით ერთკლასიანი სამრევლო-სამღვდელო სკოლა გაიხსნა. გურია-სამეგრელოს ეპარქიის სასწავლო საბჭომ სკოლა დაამტკიცა და სასულიერო უწყების ხარჯზე აიყვანა. სკოლის გამგედ მისი დამაარსებელი, დეკანოზი იოანე დაინიშნა.



დეკანოზი იოანე ხუხუნი

1917 წლიდან ხსენებული სკოლა საერო დაწყებით სკოლად გადაკეთდა.

დეკანოზ იოანეს ჰყავდა მეუღლე ოლღა აფაქიძე და რვა შვილი: ქეთინა, დომნიკა, აკაკი, პარასკევა, გედეონი, მინადორა, ბესარიონი, გრიბული. მამა იოანეზე ძლიერ იმოქმედა შვილის, 28 წლის აკაკის სიკვდილმა. ჯანმრთელობა შეერყა და 1920 წელს გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია ასევე ლეხაურის წმიდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის სასაფლაოზე.

იოანე ნიკოს ძე ხუხუნისეულ სახლში ხოფ. ლეხაურში გადაღებული კინოსურათი „მთვარის მოტაცება".

ხუხუნების საგვარეულოდან აქვე აღსანიშნავია რამდენიმე პიროვნება:

იოსებ ნიკოლოზის ძე ხუხუნი. შემდეგში ქუთაისის გუბერნიის საგანგებო დავალებათა მოხელე. დასაფლავებულია ლეხაურის წმიდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის გალავანში.

ხარიტონ ნიკოლოზის ძე ხუხუნი - შემდეგში რკინიგზის მოსამსახურე. გარდაიცვალა 1914წ. დასაფლავებულია სენაკში წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის გალავანში (საკალან-დარიშვილის ეკლესია.)

აკაკი იოანეს ძე ხუხუნი - სარატოვის სასულიერო სემინარიისა და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ეკონომისტი. მუშაობდა მოსკოვის ნობელის კანტორაში, სასტურეტში ნავთის მრეწველობის უფროსად. გარდაიცვალა 1918 წ. დასაფლავებულია ლეხაურის წმიდა ბარბარეს ეკლესიის გალავანში.

გედეონ იოანეს ძე ხუხუნი - თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული, სახალხო მასწავლებელი, ბუღალტერი, გარდაიცვალა 1974 წ.

ბესარიონ იოანეს ძე ხუხუნი - შემდეგში თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ტრესტ „ეთერზეთოვანის" მთავარი საწარმოების ეკონომიკური განყოფილების უფროსი.

ზაირა ფაჩულია

ქალაქი სენაკი.

# ფოტომატიანე





მარცხნიდან: მღვდელი სვიმონ მერმანიშვილი, ჭიათურის მაზრის სოფელ ბუნიკაურის (საქველეთუბანი) მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიის წინამძღვარი და მღვდელი პიო მუსერიძე. შუაში: ლონგინოზ სვიმონის ძე მერმანიშვილი, მათ წინ ვასილ სვიმონის ძე მერმანიშვილი.

1900-იანი წლები, ქუთაისი

ფოტო მოგვაწოდა მღვდელ სვიმონ მერმანიშვილის შვილთაშვილმა, არქიმანდრიტმა მიქაელმა (გაბრიჭიძე).

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*





გამოვიდა
„საპატრიარქოს უწყებანის
დამატება ბავშვებისთვის" ახალი ნომერი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დანიელი (დათუაშვილი),
დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, ლუარსაბ ტოგონიძე,
მარიამ ბაბუა, ნათია თავართქილაძე, ხათუნა რამიშვილი, ნანა კოპაძე, თამარ ახალაია,
დამკაბადონებელი: კახაბერ მაისურაძე, კორექტორი: ზოია კოპაძე.

დასაწყისი მე-3 გვ.

მერე კიდევ 135 მხედარი შეუერთდა მათ რიცხვს. საბოლოოდ, მტარვალებმა ვერაფერი რომ ვერ გააწყვეს, ჯალათებს უბრძანეს, რომ კალისტრატე და მისი მხედრები ერთ-ერთ დარბაზში აეკუწათ. აი, ასე აღესრულა წმიდა კალისტრატე.

ეს არის საოცარი წმიდანი, რომელიც ეხმარება ყოველ ადამიანს, რომელიც დგას ჭეშმარიტების გზაზე.

თქვენ იცით, რომ ჩვენ გვყავდა ამ წმიდანის მოსახელე დიდებული კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე (ცინცაძე). დღეს არის მისი ანგელოზის დღე და ჩვენ, მთელი საქართველო ვულოცავთ მას ანგელოზის დღეს: მისი ლოცვა-კურთხევა გეწეოდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს!

უნდა ითქვას, რომ მართალია უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე მოწამეობრივად არ აღსრულებულა, მაგრამ მთელი მისი ცხოვრება მოწამეობა გახლდათ. იგი იყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ყველაზე რთულ პერიოდში – 1932-52 წლებში. ეს იყო ხანა, როცა ყოველი ოჯახი შიშით ელოდებოდა, როდის გაიღებოდა კარი და ოჯახის წევრებს დააპატიმრებდნენ ან დახვრეტდნენ. იმ წლებში აწამეს მრავალი საერო თუ სასულიერო პირი.

პატრიარქი კალისტრატე აქ, სიონის ეზოში ცხოვრობდა. უფროს თაობას, ალბათ გემახსოვრებათ, სანაპირო მხარეს იყო შენობა, სადაც 2-3 ოთახი ჰქონდა დათმობილი საპატრიარქოს. ძველი საპატრიარქო რეზიდენცია, სადაც ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით, მაშინ ჩამორთმეული გვქონდა. იქ მილიციის სამმართველო იმყოფებოდა და ხალხს აწამებდნენ. იყო ისეთი დროც, როცა წმიდა სინოდი სრული შემადგენლობით იყო დაპატიმრებული, როცა კალისტრატეს თავისი რეზიდენციიდან გამოსვლის უფლებას არ აძლევდნენ. მას აკრძალული ჰქონდა სიონში შემოსვლა და წირვა-ლოცვის ჩატარება. აი, ასეთი წამება გამოიარა უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ. დღეს ჩვენ აღვავლენთ ლოცვებს მისი ნათელი სულისათვის და შევასრულებთ პანაშვიდს.

მისი ლოცვა-კურთხევა, წმიდა მოწამე კალისტრატესა და მის მოყვასთა ლოცვა-კურთხევა გეწეოდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს!

ღმერთმა ინებოს, რომ საქართველო გამთლიანდეს და გავიდეს სამშვიდობოზე!

**ჩვენთან არს ღმერთი!**

# ქრონიკა, ინფორმაცია

## საზეიმო წირვა მეტეხის ტაძარში

18 ოქტომბერს „მესხეთის გვარიშვილთა კავშირი“ უხმობს მესხური წარმომავლობის ყველა ქრისტიანს თბილისის მეტეხის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში, სადაც შესრულდება წმიდა გრიგოლ ხანძთელის ხსენების დღესთან დაკავშირებული საზეიმო წირვა.

## ქართულმა სამშვიდობო ასეულმა მონაწილეობა მიიღო ტაძრის აღდგენაში

11 ოქტომბერს დაბა ალექსეევკაში, შვეულმფრენთა საავიაციო ბაზის ტერიტორიაზე ქართული სამშვიდობო ასეულის კოსოვოში გაცილების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა.

ქართველი სამხედროები კოსოვოში აქტიურად ეხმარებიან ადგილობრივ მოსახლეობას. მათ მონაწილეობა მიიღეს პრიზრენის შემოგარენში მუსლიმანთა მიერ გადამწვარი მართლმადიდებლური ეკლესიის აღდგენაში. ამჟამად ქართველმა სამხედროებმა კოსოვოს ტაძრისთვის საქართველოდან საჩუქრად ხატები წააბრძანეს.

## ინფორმაცია ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიიდან

<u>ცაგერში ტაძარი აღდგა</u>

7 ოქტომბერს ცაგერის რაიონის სოფელ ლაილაშში ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსმა სტეფანემ (კალაიჯიშვილი) აკურთხა წმიდა გიორგის ტაძარი. ეკლესიის რესტავრაცია ბატონ ვიტალი თვარაძის შემწეობით ჩატარდა. ბატონი ვიტალი ქირურგია და საზღვარგარეთ მოღვაწეობს. მეუფე სტეფანემ დალოცა ტაძრის აღმდგენელნი და მრევლი.

<u>დიაკვნის კურთხევა</u>

10 ოქტომბერს ცაგერის საკათედრო ტაძარში ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსმა სტეფანემ (კალაიჯიშვილი) დიაკვნად დაასხა ხელი იორამ გოლეთიანს.

დასასრული მე-5 გვ.

# ფოტომატიანე



## არქიმანდრიტი ევაგრე (დიასამიძე)

(1887-1976)

XX საუკუნის საქართველოს ეკლესიის ღირსეული მოღვაწე. 1903 წლიდან მსახურობდა საქართველოს სხვადასხვა მონასტრებში: მარტყოფში, დავით გარეჯში, საგარეჯოში. ღვაწლმოსილი აღესრულა მშობლიურ მხარეში — ჯავახეთში.

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება*
*ლუარსაბ ტოგონიძე*

„ნუ ვიფიქრებთ, რომ ეს ცხოვრება სალხინოდ და თავის შესაქცევად მოგვეცა, არამედ ვიცოდეთ, რომ ამ ქვეყნად ჩვენი ცხოვრება შრომა, მოთმინება, ხშირად ჭირი და მრავალი განსაცდელია. როგორც იესო ქრისტემ გაატარა თავისი ცხოვრება დიდ შრომასა და აურაცხელ მოღვაწეობაში, ასევე ჩვენც უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი ცხოვრება შრომით, მოღვაწეობითა და მოთმინებით გავატაროთ".

*წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე)*




გამოვიდა „საპატრიარქოს უწყებანის დამატება ბავშვებისთვის" ახალი ნომერი

„საპატრიარქოს უწყებანის" რედაქცია გთხოვთ დროულად დაფაროთ გაზეთის დავალიანება

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ნუნუკა ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დანიელი (დათუაშვილი),
დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, ლუარსაბ ტოგონიძე,
მარიამ გაგუა, ნათია თარაშვილი, ხათუნა რამიშვილი, ნანა [illegible], თამარ ახალაძე,
დამკაბადონებელი: კახაბერ მაისურაძე, კორექტორი: ნონა ქოჩახიძე.

# ქრონიკა, ინფორმაცია

## ქართული ფოლკლორის საღამო კონსერვატორიაში

18 ოქტომბერს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ასოციაციის „ქართული კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ“ და ქალბატონი გიული ალასანიას თაოსნობით მოეწყო ქართული ფოლკლორის საღამო და პროექტ „ჩვენებურების“ პრეზენტაცია.

საღამოზე აუდიტორიის წინაშე სიტყვით წარდგა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ანჩისხატის მგალობელთა გუნდმა, საქართველოს საპატრიარქოს ანსამბლმა „ბასიანი“, ბაიარ შაჰინგუნდარიძემ და სხვა ქართველმა მუსიკოსებმა თურქეთიდან, ირანიდან და აზერბაიჯანიდან.

22-28 ნოემბერს თბილისში საქართველოს საპატრიარქოსა და ასოციაციის „ქართული კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ“ თაოსნობით ჩატარდება საერთაშორისო ფესტივალი „ჩვენებურები“. ფესტივალი მრავალფეროვან და საინტერესო ღონისძიებებს გვპირდება. პროგრამით გათვალისწინებულია კონცერტები, გამოფენები, შეხვედრები ქართული საზოგადოებისა და მთავრობის წრეებთან და სხვა. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ ფერეიდნელი მხატვრები, ხალხური რეწვის ოსტატები თურქეთიდან და საინგილოდან, ქართველი მუსიკოსები თურქეთიდან, ირანიდან, აზერბაიჯანიდან და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებიდან.

## ხელდასხმა

10 ოქტომბერს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი ამაღლების სახელობის ტაძრის დიაკვანს კონსტანტინე ლეკიშვილს.

## საპატრიარქოში სახარებების გამოფენა მოეწყო

15 ოქტომბერს საქართველოს საპატრიარქოში მოეწყო კავკასიურ ენებზე თარგმნილი სახარებების გამოფენა, რომელიც გახსნა უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II. გამოფენას ესწრებოდნენ ქართველი მეცნიერები, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტის წარმომადგენლები.

გამოფენის გახსნისას უწმიდესმა და უნეტარესმა ისაუბრა გამოფენის ისტორიულ მნიშვნელობაზე. თავისი გამოსვლა კათოლიკოს-პატრიარქმა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა:

„საქართველომ და ქართულმა ეკლესიამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ საღვთო წერილი გავრცელდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ განმტკიცდება ქრისტიანული სარწმუნოება, განმტკიცდება სიყვარული ადამიანთა და ერებს შორის, განმტკიცდება კულტურული და სულიერი ურთიერთობა, კავშირი ერებს შორის; ეს კი ძალიან საჭიროა კავკასიის რეგიონში. ამიტომ მე მინდა მადლობა მოვახსენო ქალბატონ ქეთევანს და ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, რომ აქ ეს შესანიშნავი კოლექცია გამოიფინა“.

## ბერად აღკვეცა

8 ოქტომბერს ყოვლადუსამღვდელოესის, საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოს ლუკას (ლომიძე) ლოცვა-კურთხევით მღვდელმონაზონმა კირიონმა (ონიანი) ხაშმის მამათა მონასტერში ბერად აღკვეცა მორჩილი დავით აბულაძე და სახელად ანდრია უწოდა.

## დაჯილდოვება

17 ოქტომბერს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სიონის საკათედრო ტაძარში დეკანოზის ხარისხში აიყვანა თბილისის წმიდა ბარბარეს სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი გიორგი ტაბალუა.

## ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე) სახელობის ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი ფუნქციონირებს ახალ მისამართზე: საბურთალოს ქ. № 38; II სადარბაზო, I სართული (შესასვლელი ეზოდან).

ცენტრს შეგიძლიათ მიმართოთ შემდეგი პრობლემებისას:

- ნევროზი;
- ფსიქოპათია;
- ალკოჰოლიზმი;
- ნარკომანია;
- სექსუალური დარღვევები;
- პოსტსტრესული სინდრომი და სხვა.

ბავშვებისათვის ყველ ორშაბათს

დასასრული მე-6 გვ.

# ფოტომატიანე



## სვეტიცხოველი
1937 წელი

*სხედან მარცხნიდან:* არქიმანდრიტი ტარასი (კანდელაკი. შემდგომში წილკნელი ეპისკოპოსი); წილკნელი მთავარეპისკოპოსი ალექსი (გერსამია); შიო-მღვიმის მონასტრის არქიმანდრიტი ისე (სუხიშვილი).

*დგანან:* დეკანოზი სიმონ მონასელიძე; ბერი ალექსი (ჩხეტიანი. დიდ სქემაში აბრაამი); დავით ჭიჭინაძე.

ფოტოს მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით დეკანოზ დავით ერისთავს.

დედანი ინახება დეკანოზ სიმონ მონასელიძის შვილიშვილის, ქალბატონ ცირა სულაქველიძის ოჯახში.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*




გამოვიდა
„საპატრიარქოს უწყებანის
დამატება ბავშვებისთვის" ახალი ნომერი

„საპატრიარქოს უწყებანის" რედაქცია გთხოვთ დროულად დაფაროთ გაზეთის დავალიანება

[illegible]
„საპატრიარქოს უწყებანი" [illegible]: http://www.patriarchate.ge
[illegible] №1
[illegible]: 98-95-41.

[illegible]

დასაწყისი მე-2 გვ.

წარსულშიც მრავლად იყვნენ და დღესაც არიან.

დღეს ჩვენ ვიხსენებთ ისეთ დიდ ადამიანს, როგორიც იყო დიმიტრი ყიფიანი! დღეს მისი გარდაცვალების დღეა. წელს მას დაბადებიდან 190 წელი შეუსრულდა. საოცარი პიროვნება და მოწამე იყო იგი, ღვთისთვის და სამშობლოსათვის თავდადებული და შეწირული. დიდი მეცნიერი, დიდი საზოგადო მოღვაწე! მას ჰქონდა მაღალი თანამდებობები, მაგრამ ეს ყველაფერი არაფრად მიაჩნდა და მისთვის მთავარი საუნჯე სამშობლო იყო. მას ძალიან რთულ პერიოდში მოუწია მოღვაწეობა, როცა საქართველოს დაკარგული ჰქონდა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ეკლესიას - ავტოკეფალია. საქართველოს ეკლესიას ეგზარქოსი განაგებდა. სემინარიის რექტორიც ასევე რუსეთის სასულიერო პირთაგანი გახლდათ. მას ვიღაც თავს დაესხა და მოკლა. ეგზარქოსი ძალიან განრისხდა და ქართველი ერი ამბიონიდან დაწყევლა. მან დაწყევლა „ერი, რომელმაც შვა ეს მკვლელი". მაშინ დიმიტრი ყიფიანი მივიდა ეგზარქოსთან და უთხრა: „ამიერიდან თქვენ არ გაქვთ უფლება, იყოთ მწყემსმთავარი საქართველოსი, რადგან თქვენ დაწყევლეთ თქვენი სამწყსო და თქვენ უნდა წახვიდეთ საქართველოდან!" ამის გამო დიმიტრი ყიფიანი გადაასახლეს საქართველოდან და მოკლეს. დღეს ჩვენ ვლოცულობთ მისი სულის ცხონებისათვის.

ალბათ დადგება დრო, როცა საქართველოს ეკლესია მისი წმიდანად შერაცხვის საკითხს განიხილავს.

ახლა კი გადავიხდით პანაშვიდს დიმიტრი ყიფიანის სულის საოხად.

ღმერთმა აცხონოს და ნათელში ამყოფოს სული მონისა ღვთისა დიმიტრისა და მისი ლოცვა-კურთხევა გეწიოდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ თქვენ და სრულიად საქართველო!

**ჩვენთან არს ღმერთი!**

## ქრონიკა, ინფორმაცია

### შეხვედრა საპატრიარქოში

25 ოქტომბერს უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II საქართველოს საპატრიარქოში შეხვდა ხელოვნებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებს.

### პატრიარქი კუმისის ტაძარს ეწვია

21 ოქტომბერს უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კუმისში ჩაბრძანდა, სადაც ადრე დედათა მონასტერი იყო. ამჟამად აღდგენილია ყოვლადწმიდა სამების სახელობის ტაძარი, შემდგომში აქ კვლავ დედათა მონასტერი იფუნქციონირებს. უწმიდესმა ტაძარს მთავარანგელოზ მიქაელის ხატი შესწირა.

### იკურთხა ახალი ტაძარი

26 ოქტომბერს გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსმა ექვთიმემ (ლეჟავა) და ნინოწმინდისა და საგარეჯოს ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) მთაწმინდაზე აკურთხეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი და საზეიმო წირვა აღავლინეს. წირვის შემდგომ უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის პარაკლისი აღავლინა ახლადნაკურთხ ტაძარში.

### ხელდასხმა

24 ოქტომბერს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში დიაკვნად დაასხა ხელი თბილისის სასულიერო აკადემიის IV კურსის სტუდენტს ლევან მათეშვილს.

* * *

17 ოქტომბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II, დიაკვნად ხელი დაასხა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულს ილია ჩაკვეტაძე.

* * *

17 ოქტომბერს ნეკრესისა და ჰერეთის მიტროპოლიტმა სერგიმ (ჩეკურიშვილი) ლაგოდეხის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარში ბერდიაკვნად დაასხა

დასასრული მე-4 გვ.

# ფოტომატიანე



## მცხეთა, სამთავროს დედათა მონასტერი. 1969 წელი

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი), ამჟამად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, სამთავროს დედათა მონასტრის მონაზვნებთან და მრევლთან ერთად. მისგან მარცხნივ მღვდელმონაზონი გაბრიელი (ურგებაძე), შემდგომში არქიმანდრიტი. ხოლო მარჯვნივ – სამთავროს დედათა მონასტრის იღუმენია ზოილე (დვალიშვილი).

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*

გარეკანის პირველ გვერდზე დაბეჭდილია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში დაცული ქართული სახარების მინიატურა.

მინიატურა მოგვაწოდა ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელმა, ქალბატონმა ლია სახარულიძემ.

**„საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქცია გთხოვთ დროულად დაფაროთ გაზეთის დავალიანება**

გთხოვთ, გაზეთის გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის“ ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

**რედაქტორი:** ზურაბ ცხოვრებაძე,
**სარედაქციო კოლეგია:** მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი),
დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, ლუარსაბ ტოგონიძე,
მარიამ გაბუნია, ნათია თარაშვილი, ხათუნა რამიშვილი, ნანა ბოკუჩავა, თამარ ახალაიანი,
**დამკაბადონებელი:** ქახაბერ მაისურაძე, **კორექტორი:** ზოია ქოჩაკიძე.

# ფოტომატიანე



## მენჯის (შუშანიების) სავანის მონაზვნები

სქემმონაზონი აკეფსიმა (1882-1972) და იღუმენია ფავსტო (1884-1967)

XX საუკუნის საქართველოს ეკლესიის ღირსეული მოღვაწენი წმიდა ალექსი ბერის ბიძაშვილები და მისი სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობის გადამრჩენელნი.

გადაღებულია 1953 წელს.

ფოტოს მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით ბატონ პაატა ქურდოვანიძეს.

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*




გამოვიდა „საპატრიარქოს უწყებანის დამატება ბავშვებისთვის" ახალი ნომერი

„საპატრიარქოს უწყებანის" რედაქცია გთხოვთ დროულად დაფაროთ გაზეთის დავალიანება

საპატრიარქოს პრესცენტრმა გამოსცა წიგნი „იოლია თუ არა ცხონება"




გთხოვთ, გაზეთის გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

რედაქტორი: ზურაბ ცხოვრებაძე,
სარედაქციო კოლეგია: მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი),
დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, ლუარსაბ ტოგონიძე,
[illegible], ნათია თარაშვილი, ხათუნა [illegible], ნანა [illegible], თამარ ასათიანი,
დამკაბადონებელი: კახაბერ მაისურაძე, კორექტორი: [illegible].

# ფოტომატიანე



**იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე)**

(შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი)
პეტერბურგი, 1906 წელი

ფოტოს მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით ბატონ გოგი სარაჯიშვილს.

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია:
98 95 41; 72 13 50;
60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება*
*ლუარსაბ ტოგონიძე*




**გამოვიდა „საპატრიარქოს უწყებანის დამატება ბავშვებისთვის" — ახალი ნომერი**

**„საპატრიარქოს უწყებანის" რედაქცია გთხოვთ დროულად დაფაროთ გაზეთის დავალიანება**

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

**რედაქტორი:** ზურაბ ცხოვრებაძე,
**სარედაქციო კოლეგია:** მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი),
დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, ლუარსაბ ტოგონიძე,
მარიამ ბაბუა, ნათია თარაშვილი, ხათუნა რაჭიაშვილი, ნანა კოპაძე, თამარ ახალიანი,
**დამკაბადონებელი:** კახაბერ მაისურაძე, **რეპორტიორი:** ზოია ქოჩაძე.

დასაწყისი მე-5 გვ.

მიენიჭა წმიდა სამების ტაძრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ ილიას (ნასიძე).

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ!

ღმერთმა დალოცოს, გააძლიეროს, გაამთლიანოს და დაამშვიდოს სრულიად საქართველო, საქართველოს ეკლესია და ქართველი ერი, ამინ!

წყალობა, მშვიდობა, სიხარული და სიყვარული სუფევდეს თქვენზე და სრულიად საქართველოზე!

**ჩვენთან არს ღმერთი!**

## ქრონიკა, ინფორმაცია

### ხელდასხმა

4 დეკემბერს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულზე სამთავისისა და გორის ეპისკოპოსმა ანდრიამ (გვაზავა) გორის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი ბერდიაკვან კოზმას (გუჯაბიძე).

### საეკლესიო მუზეუმი ჯიხეთის მონასტერში

ა.წ. 4 დეკემბერს სამება-ჯიხეთის „ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების" დედათა მონასტერში საზეიმოდ აღსრულდა ტაძრის დღესასწაული. წირვა აღავლინეს წმიდა სინოდის წევრებმა: შემოქმედელმა მთავარეპისკოპოსმა იოსებმა (კიკვაძე), ახალციხის, ტაოკლარჯეთისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოსმა თეოდორემ (ჭუაძე), ხონისა და სამტრედიის მთავარეპისკოპოსმა საბამ (გიგიბერია), ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოსმა დიმიტრიმ (შიოლაშვილი).

წირვის შემდეგ მღვდელმთავრებმა დაათვალიერეს ახლადდაარსებულ საეკლესიო მუზეუმი, რომელიც შემოქმედელი მთავარეპისკოპოს იოსების ლოცვა-კურთხევითა და მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ ანდრიას (კბილაშვილი) ხელმძღვანელობით აშენდა.

მუზეუმში დაცულია ამავე მონასტრის ძველი საეკლესიო ნივთები, აქ მოღვაწე სასულიერო პირებისა და დედების სურათები, სამოსლები, წიგნები, წერილები და სხვა. აქ ასევე ინახება ახლომდებარე მუზეუმების მიერ გადმოცემული სხვადასხვა ტაძრის ნივთები, წერილები და მასალები.

სამება-ჯიხეთის დედათა მონასტერს საინტერესო ისტორია აქვს. კომუნისტური რეჟიმის დროს, როცა ქვეყანაში ბევრი ეკლესია-მონასტერი დაიხურა, გურიის დედათა მონასტრის სავანე ისევ ბერ-მონაზონთა ნავთსაყუდლად რჩებოდა.

მონასტრის დედებთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II აღნიშნა: „ჯიხეთი დიდი ტრადიციების მქონე მონასტერია, ამ მონასტერში დიდებული ადამიანები მოღვაწეობდნენ".



**საეკლესიო მუზეუმი ჯიხეთის მონასტერში**

### საერთაშორისო კონფერენცია

6 და 7 დეკემბერს თბილისში არასამთავრობო ორგანიზაციის „XXI საუკუნის" ინიციატივით და რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის თანადგომით გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „რელიგია, ტოლერანტობა და კანონი საქართველოში: საერთაშორისო სტანდარტები". კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს რელიგიის როგორც ქართველმა, ასევე უცხოელმა ექსპერტებმა, საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას კონფერენციაზე წარმოადგენდნენ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე), კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი, დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი, საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანი გიორგი ანდრიაძე

დასასრული მე-7 გვ.

# ფოტომატიანე



თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*

## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II (სიდამონიძე) სიონის საკათედრო ტაძარში მოღვაწე სასულიერო პირებთან ერთად

*სხედან მარცხნიდან:* პროტოპრესვიტერი ალექსანდრე გაბუნია (+1967), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II (+1972), დეკანოზი პახუმ ობოლაძე (შემდგომში პროტოპრესვიტერი) (+1982).

*დგანან:* მღვდელი ირაკლი ღონღაძე (+1965), პროტოდიაკონი ამბროსი ახობაძე (+1977), მღვდელი გიორგი ჩაჩუა (შემდგომში დეკანოზი) (+1974).

ფოტო გადაღებულია თბილისში 1960-იანი წლების დასაწყისში.

გამოვიდა „საპატრიარქოს უწყებანის დამატება ბავშვებისთვის" – ახალი ნომერი




„საპატრიარქოს უწყებანის" რედაქცია გთხოვთ, დროულად დაფაროთ გაზეთის დავალიანება

## ახალი გამოცემა




საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრმა დაიწყო ახალი ჟურნალის - „დედა-ეკლესია" - გამოცემა. უკვე გამოიცა ჟურნალის პირველი ნომერი. დაინტერესებული მკითხველი ჟურნალში იხილავს საინტერესო მასალებს იმის შესახებ, თუ რატომ შენდება ახალი ტაძრები; როგორ გამოისახა მაცხოვრის გამოსახულება სუდარაზე, რომელშიც იგი ჯვარცმიდან გარდამოხსნის შემდეგ შეგრაგნეს; აღადგენს თუ არა უფალი ადამიანის ძვლებს; რა მოხდა ლანჩანოს ტაძარში, როცა მღვდელმსახურის ხელში ნამდვილი სისხლი და ხორცი აღმოჩნდა; როგორ გამოართვა მიცვალებულმა არქიმანდრიტმა შენდობის ფურცელი მასთან მისულ მღვდელმსახურს... ჟურნალი საინტერესო იქნება როგორც მრევლისათვის, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის.

(გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო)
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ-გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

**რედაქტორი:** ზურაბ ცხოვრებაძე,
**სარედაქციო კოლეგია:** მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი), დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, ლუარსაბ ტოგონიძე, მარიამ გაგუა, ნათია თარაშვილი, ხათუნა რაჭიაშვილი, ნანა მოსეშვილი, თამარ ასათიანი,
**დამკაბადონებელი:** ქახაბერ მაისურაძე, **კორექტორი:** ზოია ჭოლაძე.

# ფოტომატიანე



## დიაკონი ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილი (1863-1937) ოჯახთან და ფერეიდნელ ქართველებთან ერთად.

თბილისი, 1910-იანი წლები.

ცენტრში: მამა ნიკოლოზი; მისი მეუღლე ეკატერინე ფანოზიშვილი

მარცხენა და მარჯვენა განაპირას სხედან ფერეიდნელებიი ხუციშვილი და ონიკაშვილი

მამა ნიკოლოზის შვილები – უკანა რიგში: ერეკლე, თამარი, ნინო; წინა რიგში: მარიამი, გიორგი, ქეთევანი.

* * *

მამა ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილი სასულიერო მოღვაწეობასთან ერთად წინაპართაგან გადმოცემული ხალხური მედიცინის ბრწყინვალე მცოდნეც იყო. ამ სურათზე მის ოჯახის წევრებთან ერთად ასახულია ორი ფერეიდნელი ქართველი, რომლებიც მან უმძიმესი სნეულებისაგან განკურნა. მამა ნიკოლოზი სიცოცხლის ბოლო წლებში დეკანოზის ხარისხში მსახურობდა თბილისში, ქაშუეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში. იგი 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი შეიქნა.

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*

**„საპატრიარქოს უწყებანის" რედაქცია გთხოვთ, დროულად დაფაროთ გაზეთის დავალიანება**

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

**რედაქტორი:** ზურაბ ცხოვრებაძე,
**სარედაქციო კოლეგია:** მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი),
დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, ლუარსაბ ტოგონიძე,
მარიამ ბაბუა, ნათია თარაშვილი, ხათუნა რაჭიაშვილი, ნანა გოგოხია, თამარ ასათიანი,
**დამკაბადონებელი:** კახაბერ მაისურაძე, **ოპერატორი:** ხურა კოჩახიძე.

დასაწყისი მე-6 გვ.

ბის საპატრიარქო ტაძარში თბილისის სასულიერო აკადემიის I კურსის სტუდენტს კახაბერ გოგოტიშვილს დიაკვნად დაასხეს ხელი.

ორივე მათგანი ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში იმსახურებენ.

## ბერად აღკვეცა

20 დეკემბერს თბილისის ფერისცვალების მამათა მონასტერში იღუმენმა ბართლომემ (ფირცხალაშვილი) ბერად აღკვეცა მორჩილები:

სერაპიონ ზედგინიძე და სახელად სამოელი უწოდა;

გაბრიელ ტყემალაძე და სახელად მატათა უწოდა;

გრიგოლ გელაშვილი და სახელად ისე უწოდა.

## კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ეკოლოგიის აკადემია დალოცა

7 წლის წინ, 1997 წლის ნიკოლოზობას უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II აკურთხა ახლადდაარსებული საქართველოს მეცნიერების ეკოლოგიური აკადემია. მას შემდეგ ეკოლოგიის აკადემიას ერთგვარ ტრადიციად ექცა ნიკოლოზობის დღესასწაულზე ეკოლოგების შეკრება პატრიარქთან და ლოცვა-კურთხევის აღება შემდგომი საქმიანობისთვის.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II აღნიშნა: „თქვენ კარგად გესმით, რამდენად მნიშვნელოვანია ეკოლოგიური საკითხები. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეკოლოგიურად სუფთა იყოს ჩვენი ბუნება, რომ არ გაიჩეხოს ტყე, არ მოიხმოს ისეთი იშვიათი ხეები, რომელიც იზრდება მხოლოდ საქართველოში და იშვიათობას წარმოადგენს. მეცნიერები ამბობენ, რომ ძალიან მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობა მთელს მსოფლიოში; იმდენად დაბინძურებულია წყალი, ჰაერი, რომ კაცობრიობას იმი აღარ ჰყოფნება; შეიძლება ამ მოწამლული ჰაერისაგან განადგურდეს მთელი კაცობრიობა."

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II დალოცა ეკოლოგები და მათ დიდი წარმატებები უსურვა შემდგომ საქმიანობაში.

## წმიდა ბარბარეს ხატის საზეიმო კურთხევა

17 დეკემბერს, ბარბარობის დღესასწაულზე წმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II წმიდა ქალწულმოწამე ბარბარეს ხატი აკურთხა.

ხატი, რომლის ზომებია 1,5 X 1 მ, დაწერეს ხატმწერებმა, მღვდელმა გიორგი ყიფშიძემ და მისმა მეუღლემ. ხატის ოქრომჭედლური შემკობა შეასრულა პაატა ლუტიძემ.

წმიდა ბარბარეს ხატის შესაქმნელად შემოწირულობები შეგროვდა. ქალბატონი ნინო ახობაძის ინიციატივით, წმიდა ბარბარეს ხატი დედებმა თავიანთი შვილების სახელზე შეუკვეთეს. ხატისთვის საჭირო თანხა 2000-ზე მეტმა მშობელმა გაიღო.

ახლად დაწერილი ხატი ჩოხატაურის რაიონის სოფელ საჭამიასერზე ახალაშენებულ ტაძარს დაამშვენებს. ახალი ტაძარი შემოქმედის ეპისკოპოს იოსების (კიკვიძე) ლოცვა-კურთხევით აიგო. მისი მშენებლობისთვის საჭირო შემოწირულობები ქალბატონმა ნინო ახობაძემ შეაგროვა. ჩატარდა არაერთი საქველმოქმედო საღამო, რომლის შემოსავალი სრულად ტაძრის მშენებლობის ფონდში გადაირიცხა. მათ შორის აღსანიშნავია მომღერალ თამრიკო ჭოხონელიძის საქველმოქმედო კონცერტი.

ჩოხატაურის რაიონის ტაძრის მშენებლობისთვის შემოწირულობები საქართველოს 9 ქალაქიდან შეგროვდა.

## საზეიმო წირვა წმიდა ნიკოლოზის საფლავზე

19 დეკემბერს იტალიის ქალაქ ბარიში წმიდა ნიკოლოზის სახელობის მონასტერში არსებულ წმიდა ნიკოლოზის საფლავზე საზეიმო წირვა აღესრულა, რომელშიც სხვა მართლმადიდებელ მღვდელმთავრებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ხევისა და სტეფანწმინდის ეპისკოპოსმა პეტრემ (ცაავა). მეუფე პეტრემ მონასტრის წინამძღვარს გადასცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II მოკრძალებული თხოვნა წმიდა ნიკოლოზისადმი (იხ. გვ. 5) აგრეთვე ოქროს პანაღია, რომელზეც გამოსახულია მინანქარში შესრულებული წმიდა დავით წინასწარმეტყველის ხატი. პანაღიას დააბრძანებენ წმიდა ნიკოლოზის წმიდა ნაწილებზე. წირვას დაესწრო ქალაქ ბარიში იმ პერიოდში მყოფი 30-მდე ქართველი მართლმადიდებელი, რომელთა ნაწილი წირვის დროს ეზიარა.



წირვა წმიდა ნიკოლოზის საფლავზე

## შეხვედრა საპატრიარქოში

ა.წ. 22 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოში შედგა შეხვედრა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოებას შორის.

მისმა უწმიდესობამ სამღვდელოებასთან

დასასრული მე-8 გვ.

დასაწყისი მე-5 გვ.

აფხაზებს, სხვებს და აი, აქ უფლის წინაშე უნდა მოვინანიოთ ეს ცოდვები და უნდა დაიწყოს შერიგების პროცესი ჩვენს ერებს შორის. აღარ თუ გვიან აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი იქნება საქართველოს შემადგენლობაში და ჩვენ იქ უნდა შევიდეთ როგორც მოსიყვარულე ძმები. ლოცვა-კურთხევა აქვს მიცემული მცხეთა-თბილისის სამღვდელოებას, რომ შაბათს ისინი შეასრულებენ წირვა-ლოცვებს თავის ტაძრებში და შემდეგ ხატებით, ჯვრებით, მრევლით და გუნდებით საზეიმოდ წამოვლენ აქ რათა ერთად შევთხოვოთ უფალს, შეგვარიგოს და გვაკმაროს განსაცდელი.

ჩვენ მივმართავთ ყველას: ქართველებს, აფხაზებს, ოსებს და სხვებს, რომ გამოიჩინონ ქრისტიანული სათნოება, მიმტევებლობა. ბედნიერია ის, ვისაც ეს მადლი აქვს, ვინც ცდილობს შეურიგდეს მას, რომლისგანაც მიღებული აქვს წყენა.

ვფიქრობ, 25 დეკემბერი მნიშვნელოვანი იქნება, ეს ერთობლივი ლოცვები შეარიგებს და გაამთლიანებს სრულიად საქართველოს. ღმერთმა ინებოს, რომ ეს ასე იყოს.

**ჩვენთან არს ღმერთი!**

# ქრონიკა, ინფორმაცია

## განცხადება

საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის სახელზე მოვიდა რამდენიმე სამადლობელი წერილი, რომელთა ხელისმომწერნი გამოხატავენ სიხარულსა და მადლიერებას იმის გამო, თითქოსდა ცენტრის გადაწყვეტილებით დაწყებულია მუშაობა ანჩისხატის სახატის პროექტზე.

საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრი იუწყება, რომ ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. საეკლესიო ხელოვნების მეთოდური საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწყებულია მუშაობა ანჩისხატის სახელობის ტაძრისა და მისი გარემოს კეთილმოწყობის პროექტის კონცეფციაზე, რისთვისაც დაგეგმილია ტერიტორიის საფუძვლიანი კვლევა.

სამუშაოთა შესასრულებლად გამოყოფილია სპეციალისტთა ჯგუფი: არქეოლოგი გოჩა ბოლქვაძე, არქიტექტორი მამუკა კიკნაძე, არქიტექტორ-რესტავრატორები - იოსებ ბანძელაძე და თამარ ნემსაძე, მხატვარ-დიზაინერი ნიკოლოზ დადიანი.

*საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრი*

## აქციები მართლმადიდებლობის დასაცავად

17 დეკემბერს საპატრიარქოს საპრესო ცენტრში [illegible], რადიო „[illegible]-ის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი ანდრიაძემ დატოვა თავისი თანამდებობები, ჩამოაყალიბა არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაციონალური ლობი“, რომლის მიზანია მართლმადიდებლობისა და ეროვნული ინტერესების დაცვა.

სიონის საკათედრო ტაძრის ეზოში გაიმართა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა აქცია. მათ სიონის საკათედრო ტაძარს სიმბოლურად სანთლებით ხელში ცოცხალი ჯაჭვი შემოავლეს. ამით სტუდენტებმა დააფიქსირეს, რომ ეკლესია ხელშეუხებელია და მის საქმეებში ჩარევის უფლება არავის აქვს.

ამავე საკითხთან დაკავშირებით ბათუმშიც ჩატარდა სტუდენტთა მსვლელობა. სტუდენტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეიკრიბნენ. მსვლელობა გალობის ფონზე ჯერ წმიდა ბარბარეს სახელობის ეკლესიისკენ გაემართა, მოგვიანებით კი ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძრისკენ, რომელსაც აქციის მონაწილეებმა სანთლებით ხელში ცოცხალი ჯაჭვი შემოავლეს. მათ განაცხადეს, რომ ეს გამაფრთხილებელი აქციაა და მათ სურთ, აცნობონ საზოგადოებას, რომ „საქართველოს ახალგაზრდები მართლმადიდებლობის სადარაჯოზე დგანან“. ახალგაზრდები აცხადებენ, რომ „მართლმადიდებლობას თავისუფალი ავანტიურისტებისაგან იცავენ, რომლებსაც ისინი ეკლესიის გაყოფის საშუალებას არ მისცემენ“.

## პირველი ხელდასხმები ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში

19 დეკემბერს, წმიდა ნიკოლოზის ხსენების დღეს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი ბერდიაკონ ადამს (ახალაძე).



*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ახლადნაკურთხ სასულიერო პირებთან*

იმავე დღეს ყოვლადწმიდა სამე-

დასასრული მე-7 გვ.

დასაწყისი მე-5 გვ.

ამჟამად ანსამბლი დისკის ჩაწერაზე მუშაობს. დისკში შევა ბაიართან ერთად ჩაწერილი რამდენიმე სიმღერა. ანსამბლის წევრები ბაიარ შაპინს დაუმეგობრდნენ; მათ დაგეგმილი აქვს ერთობლივი კონცერტების გამართვა საქართველოსა და თურქეთში.

საპატრიარქოს რადიოში ანსამბლმა რამდენიმე სიმღერა ჩაწერა, მათ შორის, „რაჭული ალილო".

### ბერად აღკვეცა შემოქმედის ეპარქიაში

18 დეკემბერს ჯუმათის მამათა მონასტერში შემოქმედის ეპისკოპოსმა იოსებმა (კიკვიძე) ჯუმათის მამათა მონასტერში ბერად აღკვეცა ორი მორჩილი: ავთო ბუბუხადიას ეწოდა სახელი ელიზბარი, ხოლო ჯუმბერ ღლონტს – იოსები.

### ხელდასხმა ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიაში

25 დეკემბერს ბორჯომისა და ბაკურიანის მთავარეპისკოპოსმა (ჯოჯუამ) მწვანე მონასტერში წმიდა სპირიდონ საკვირველმოქმედის სახელობის ტაძარი აკურთხა.

იმავე დღეს, მეუფე სერაფიმემ დიაკვნად დაასხა ხელი ბერ გიორგის (გოგოლაძე) და სახელად უწოდა ელისე.

### ხელდასხმა ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიაში

30 დეკემბერს კორცხელის ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსმა გერასიმემ (შარაშენიძე) მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ ამბროსი თორდიას, ხოლო დიაკვნად – წიგნის მკითხველს, იაკობ ეხვაიას.

### შეცდომის გასწორება

„საპატრიარქოს უწყებანის" №48-ში გაიპარა უნებლიე შეცდომა. წმიდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის ხატზე მითითებულ წარწერაზე – ხატმწერი დავით ხიდაშელის ნაცვლად უნდა ეწეროს დავით მორგოშია. შეცდომისათვის ვითხოვთ შენდობას.

# „უნგრეთში დადიანთა გვარს მართლმადიდებლური საკათედრო ტაძარი აუგია..."

***XX საუკუნის დასაწყისში დაწყებულმა ათეიზმის უღმერთო ხანამ მრავალი სასულიერო პირი და წინაპრების მიერ სასოებით აგებული ტაძარი შეიწირა. რაც დაუნდობელ ნგრევას გადაურჩა, ის ჟამთა სიავითა და უყურადღებობით დაინგრა.***

***უკანასკნელ წლებში ღვთის შეწევნით კვლავ დაიწყო ტაძრების მშენებლობა, მზრუნველი პატრონი გამოუჩნდა ძველ ტაძრებსაც. დღეს საქართველოს თითქმის ყველა ეპარქიაში ხდება ტაძრების რესტავრაცია. ამ მხრივ სასიკეთო ძვრებია სამთავისისა და გორის ეპარქიაშიც.***

***გვესაუბრება სამთავისისა და გორის ეპისკოპოსი ანდრია (გვაზავა).***

***–მეუფე ანდრია, უკვე მეოთხე წელია, თქვენ სამთავისისა და გორის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი ბრძანდებით. ამ ხნის განმავლობაში ეპარქიაში სერიოზული აღმშენებლობა მიმდინარეობს. იქნებ მოგვითხროთ ამის შესახებ?***

–ჩვენს ეპარქიაში რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი ტაძრისა და მონასტრის რესტავრაცია მიმდინარეობდა: ატენის სიონის სამონასტრო კომპლექსის, სამთავისის საკათედრო ტაძრისა და სამონასტრო კომპლექსის, სუფთავდებოდა ვერეს მონასტერი (იგი ატენის ხეობაში, გარდატენის გარეუბანსა და მდინარე ვერეს ხეობაში მდებარეობს), მდინარე ტანას ხეობაში იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძარია, რომელიც ცნობილია, როგორც გვიანდელი ქართული ფერწერის ერთ-ერთი ნიმუში. დაიწყო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძრის მოხატვაც – უკვე სრულად მოხატულია მისი საკურთხეველი.

***–იქნებ ატენის სიონის შესახებ გვესაუბროთ; როგორც ცნობილია, ეს ტაძარი უკანასკნელ ხანებში მთელი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა, რადგან მის არსებობას სერიოზული საფრთხე დაემუქრა...***

–ჩვენ ყველა საკმაოდ შეშფოთებულნი ვიყავით, რამეთუ ატენის სიონი საკმაოდ დიდ

გაგრძელება მე-7 გვ.

# ფოტომატიანე



## დეკანოზი სპირიდონ ნიკოლოზის ძე ფანცხავა მეუღლესთან და შვილებთან ერთად

დეკანოზი სპირიდონი მსახურობდა წყალტუბოს წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში. მამა სპირიდონს წყალტუბოში და მშობლიურ სოფელ ხომლში დაუარსებია სკოლები. განსაკუთრებით ცნობილი იყო წყალტუბოს სკოლა. დეკანოზ სპირიდონ ფანცხავას ახლო ურთიერთობა ჰქონდა წმიდა მღვდელმთავარ გაბრიელთან (ქიქოძე), რომელიც მას დიდ პატივს სცემდა, როგორც განათლებულ, გონიერ და პატიოსან მოძღვარს. მამა სპირიდონი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. დეკანოზი სპირიდონ ფანცხავა დაკრძალულია მშობლიურ სოფელ ხომლში, მის მიერ აგებულ ეკლესიაში.

---

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.

ჩვენი ტელეფონებია: 98 95 41; 72 13 50; 60 61 50; 8(99) 54 82 29.

*რუბრიკას უძღვება ლუარსაბ ტოგონიძე*

**„საპატრიარქოს უწყებანის" რედაქცია გთხოვთ, დროულად დაფაროთ გაზეთის დავალიანება**

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
„საპატრიარქოს უწყებანის" ვებ.გვერდი: http://www.patriarchate.ge
მისამართი: ერეკლე II მოედანი №1
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი ტელ/ფაქსი: 98-95-41.

**რედაქტორი:** ზურაბ ცხოვრებაძე,
**სარედაქციო კოლეგია:** მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (შიოლაშვილი), დეკანოზი დავით შარაშენიძე, მღვდელი თეოდორე გიგნაძე, ლუარსაბ ტოგონიძე, მარიამ ბაბუა, ნათია თარაშვილი, ხათუნა რატიაშვილი, ნანა გოგუაძე, თამარ ასათიანი,
**დამკაბადონებელი:** კახაბერ მაისურაძე, **ოპერატორი:** ზოია კობახიძე.